

**გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომდებელი რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით**

დღეს მოსალოდნელია წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდა-თიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

**კრიკოსი N იუსი**

საქართველომ ევროკომისიისგან მიღებული კითხვარი შეავსო. კითხვარის მეორე ნაწილი, რომელიც სექტორულ მიმართულებებს მოიცავდა, ევრობუნებრივ სამშაბათს, 10 მაისს გადაეცემა. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა უწყებას და თითოეულ ადამიანს, რომელმაც ძალისხმევა არ დაიშურა კითხვარის მაქსიმალურად მოკლე ვადაში, ეფექტიანად შესავსებად. კითხვარის პირველი შევსებული ნაწილი საქართველოს მთავრობის მეთაურმა ელჩ კარლ შარცელს 2 მაისს, მთავრობის ადმინისტრაციაში გადასცა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პოლონეთში ვიზიტისას დონორთა მადალი დონის საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც არაერთი ქვეყნის ლიდერი ესწრებოდა. საქართველომ უკვე გამოყო 7 მილიონი აშშ დოლარი და ჩვენ ვაგრძელებთ თმის შედგენა დაზარალებული და ამჟამად საქართველოში მცხოვრები 28 000 უკრაინელის დახმარებას. საჭირო და სახმელეთო გზებით უკრაინაში გაიგზავნა 500 ტონაზე მეტი ჭურჭლი-ტარული ტვირთი. ჩემი მთავრობა ეხმარება დევნილებს უკრაინიდან, რა მიზნითაც უკრაინის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფთ დახმარებას, აუცილებელ პროდუქტებს, ტანსაცმელს, საკვებს, სამედიცინო დახმარებას, ასევე სკოლებისა და ბაღების ხელმძღვანელობას. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი მოძიებების დახმარებას, რისთვისაც 2022 წლის ბოლომდე დამატებით გამოვეყოფთ კიდევ 7 მილიონ აშშ დოლარს", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

მმართველი გუნდი საკანონმდებლო ინიციატივას აშუადებს, რომლის თანახმად, ბათუმის საკრებულოში მათორიტარის დებუტატის უფლებამოსილებას, საკრებულოს ნაცვლად, ცესკო ცნობს. კანონის პროექტი პარლამენტში წერ ინიცირებული არ არის, თუმცა სავარაუდოდ, ბიუროს უახლოეს სხდომაზე გავა. თუკი ბათუმის საკრებულოს ახალარჩეული მათორიტარის სადებუტატო უფლებამოსილებას საკრებულოს ნაცვლად, ცესკო ცნობს, ეს ძალიან კარგი და სწორი ინიციატივა იქნება, - განაცხადადს საქართველო ოცნებაში.

რუსთავის ციხესთან, „ნაციონალური მოძრაობის“ და მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერების ორგანიზებით, საპროტესტო აქცია გაიმართა. შეკრებილებმა ექსპრეზიდენტის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანა მოითხოვეს. აქციასთან დაკავშირებით საავტომობილო გზა გადაიკეტა. ადგილზე შეკრებილებს სიტყვით „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა მიმართეს.

მომავლად ია შველიძე

## გილოცავთ ფაშისეში გამარჯვების დღეს!

### „ჩვენი აზრით, 2019 წლის მონაცემებს მაქსიმალურად გაუთანაბრდეს პოსტკოვიდური ტურისტული სეზონი აჭარის რეგიონში“

აჭარაში ზაფხულის ტურისტული სეზონის სამზადისთან და ტურიზმის აღდგენის ღონისძიებებთან დაკავშირებით, ტურისტული სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებაზე, რომელსაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე, მუ-



ნიციპალიტეტების მერები, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის და აჭარის მთავარი სამმართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელები დაესწრნენ, რეგიონში ტურიზმის კუთხით მიმდინარე პროექტებზე, განახლებულ ტურისტულ პროდუქტებსა და ტურისტული სეზონის მოლოდინებზე ისაუბრეს.

თორნიკე რიჟვაძემ რეგიონში ტურიზმის განვითარებაზე, მის მზარდ დინამიკაზე, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და ზაფხულის სეზონისთვის ყველა უწყების განსაკუთრებულ რეჟიმზე გადასვლას გაუსვა ხაზი.

„ტურიზმის სექტორის და ტურისტული ნაკადების აღდგენა არის ყველასთვის უმთავრესი პრიორიტეტი. სწორედ ამ მიზნით შევხვედით ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებს. ვისაუბრეთ დაგეგმილ პროექტებზე, რომელიც მოგვეცემს საშუალებას, რეგიონში ტურიზმი აღდგეს მაქსიმალურად სწრაფად. ჩვენი ამბიციია, რომ 2019 წლის მონაცემებს მაქსიმალურად გაუთანა-

ბრდეს პოსტკოვიდური ტურისტული სეზონი აჭარის რეგიონში“, - განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

შეხვედრაზე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიმდინარე და დაგეგმილ პროექტების პრეზენტაცია გაიმართა. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ რეგიონში ტურიზმის აღდგენის ტენდენციებზე, ტურისტების მოზიდვის სტრატეგიასა და მიმდინარე ტურისტულ პროექტებზე გააკეთა აქცენტი. როგორც მან განაცხადა: „2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, რეგიონში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები 2019 წელთან შედარებით 49%-ით აღდგენილი. 30%-ითაა გაზარდილი მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტშიც. მაისის თვეში კი ბათუმში 9 ქვეყნიდან 250 ზე მეტი ფრენა დაგეგმილი, რომელთა შორის ერთი ახალი ევროპული მიმართულება - რიგა-ბათუმი იქნება“.

ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის თქმით, წელს მოსალოდნელია, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა. „ბათუმში დაწყებულია ზაფხულის სეზონი-

გიდან, ყაზახეთიდან და პოლონეთიდან გვეყოლება ვიზიტორები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმის მერიის შესაბამისი სამსახურები ტურისტული სეზონის პერიოდში საგანგებო რეჟიმში იმუშავებენ“, - განაცხადა მან.

აჭარის გიდების ასოციაციის თავმჯდომარე თემურ ზოიძე მიიჩნევს, რომ პოსტკოვიდური გამოწვევები დაძლეულია: „უკვე დაჯგუფებულია ადგილები სასტუმროებში, არის მოთხოვნა მრავალ მარშრუტზე, ტურისტების შემოსვლა დაწყებულია და ვფიქრობთ, რომ წლის ბოლოსთვის კარგი შედეგი გვექნება. რაც შეეხება ცალკეულ პრობლემას, რა თქმა უნდა, არის. გასაუმჯობესებელია მომსახურების ხარისხი, რისთვისაც საჭიროა ტურიზმის ინდუსტრიის მომსახურე პერსონალის მომზადება, მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, პირველ რიგში, გზები“.

აღსანიშნავია, რომ ახალი ტურისტული პროდუქტებით ხვდება ტურისტულ სეზონს მაღალმთიანი აჭარა. მოგზაურებს ელოდება კანიონინგ-უჩხოში, ექსტრემალური ველობილიკი - ქედა-შუაზეში, ტურისტული თავშესაფრები და საპიკნიკე ინფრასტრუქტურა - ჯვარჩინდო-



სთვის მზადება. წელს გვაქვს შარშანდელთან შედარებით, უფრო გაზარდილი ტურისტული ნაკადის და მოზიდაობის იმედი. ბათუმისთვის ტურიზმი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, დღითი დღე იზრდება ტურისტების რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნიდან. უახლოეს პერიოდში რი-

ზზე, ჩირუხში, კანისთავსა და შუამთაზე, ასევე 20-მდე მარკირებული ტურისტული მარშრუტი. ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

ელენე საჭვარელიძე

### სანამ ატმოსფერო კატასტროფულად დაბინძურდება

### «მაშინ საბრძოლო ხსოვრებას შთაგვაპვლავს ვახშო»

### გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცვლილებების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»! ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.







# „მთავარია, ვინ არის ამომრჩეველმა და არა ის, არჩეულს უფლებამოსილებას ვინ სწოვს“

მმართველი გუნდი საკანონმდებლო ინიციატივას ამზადებს, რომლის გათვალისწინებით, ბათუმის საკრებულოში მასობრივი დეპუტატის უფლებამოსილებას საკრებულოს ნაცვლად, ცესკო ცნობს. კანონის პროექტი პარლამენტში წერ ინიცირებული არ არის, თუმცა სავარაუდოდ, ბიუროს უახლოეს ხსდომაზე გავა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიუვაძის განცხადებით, მალე ბათუმის საკრებულოს სრულად ფუნქციონირების საშუალება მიეცემა.

„ჩართვით მითქვამს, რომ ბათუმის საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებას წინ ვერაფერი აღუდგება. ამიტომ, ძალიან მალე, ბათუმის საკრებულოს მიეცემა საშუალება, სრულად იფუნქციონიროს. საკანონმდებლო ცვლილებები არის აბსოლუტურად ლეგიტიმური საკითხი, რომელიც გამოასწორებს იმ ნაკლოვანებას, რომელიც მოქმედ კანონმდებლობაში იყო“, - განაცხადა თორნიკე რიუვაძემ.

მმართველი გუნდის წევრი, პარლამენტის დეპუტატი გიორგი კახიანი ამბობს, რომ აღნიშნულ ინიციატივას მხარს დაუჭერს: „ამ ინიციატივის მიხედვით, რადიკალურ ჯგუფებს საკრებულოს საქმიანობის პარალიზების შესაძლებლობა არ მიეცემათ - ხელისუფლე-



ბამ ამისთვის ყველაფერი უნდა გააკეთოს... საკრებულოს პარალიზება ბათუმელების ინტერესების დაუცველობას და ბათუმის სასარგებლოდ კონკრეტული მოქმედებების ვერ განხორციელებას ნიშნავს.“

„ქართული ოცნების“ დეპუტატის მიხედვით, სარჩვევლად შეფასებით, თუკი ბათუმის საკრებულოს გამოკლებული მასობრივი სადეპუტატო უფლებამოსილებას საკრებულოს ნაცვლად ცესკო ცნობს, ეს ძალიან კარგი და სწორი ინიციატივა იქნება და პროექტის ინიცირების შემთხვევაში, სიამოვნებით დაუჭერს მხარს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ოპოზიციონერი მოადგილე გიორგი სიორიძე კი უარყოფითად აფასებს ინიციატივას.

„პარლამენტში ვერ შესაბამისი პროცედურები დაწესებული არ არის, თუმცა, ცხადია, ნებისმიერი ასეთი ტიპის გადაწყვეტილება, რომელიც კონკრეტულ სიტუაციას, კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებას არის მოკვებ-



ული და ითვალისწინებს კანონის უკუქაღალს, ეს არ არის სამართლებრივად გამართლებული და არც პოლიტიკურად მიზანშეწონილი,“ - აცხადებს სიორიძე.

აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე რამაზ ჭინჭარაძის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ „დემოკრატიული ხარისხს ამომრჩევლის არჩევანი განსაზღვრავს. მთავარია, ვინ არის ამომრჩეველმა და არა ის, არჩეულს უფლებამოსილებას ვინ ცნობს. საკრებულომ უნდა იმუშაოს, რადგან ეს ბათუმის გამოწვევებს სჭირდება“. მისი თქმით, ბათუმში თვითმმართველობის შუალედური არჩევნების შედეგი ოპოზიციისთვის ნათელი პასუხი იყო.

„რამაზ ჭინჭარაძემ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და საკრებულოს მისი სახით ღირსეული წევრი შეემატა. ბათუმელები ახლა საკრებულოს სრული დატვირთვით ამოქმედებას ელოდებიან. არ შეიძლება მისი მუშაობა შეჩერდეს, ვინაიდან, თუნდაც მცირედი შეფერხება, სოციალურ და ჯანდაცვის, კულტურულ თუ სხვა პროგრამებზე აისახება. მათი განხორციელება ქალაქისა და მისი მცხოვრებლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია,“ - აღნიშნავს ცოტნე ანანიძე.

ელენე საყვარელიძე

## ეკომიგრანტი ოჯახების სასხოვრებლით უზრუნველყოფისთვის

ნათა შუტაბაძე 27 48 93

აჭარის ჩანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, შერჩეული კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა



სხდომაზე განიხილეს ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიების შუამდგომლობები - ჯამში, 28 ოჯახის პროგრამაში ჩართვის მიზნით. აქედან, პროგრამაში 17 ოჯახის ჩართვაზე კომისიამ დადებითი გადაწყვეტილება მიი-

ღო, ხოლო 11 ოჯახზე მერიებისგან მოითხოვა დამატებითი ინფორმაციები, რომელთაც უწყებები უახლოეს პერიოდში წარმოადგენენ. სხდომაზე იმსჯელეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და აჭარის ჩანმრთელობის

სა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მომზადებული 7 საცხოვრებელი სახლის ტექნიკური და საბაზრო ღირებულებების შესახებ ექსპერტიზის დასკვნებზე, რომელთა შესაბამისად, შვიდი ეკომიგრანტი ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლის შესყიდვა უახლოეს პერიოდში განხორციელდება.

კომისიას აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიშვილი ხელმძღვანელობდა. სხდო-

ას ესწრებოდნენ სამინისტროს სტიქით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტის და თვითმმართველობების წარმომადგენლები.

ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი წელს 3 080 000 ლარია. გასულ წელს პროგრამით 50 ეკომიგრანტი ოჯახი ისარგებლა, მიმდინარე წელს - 20 ოჯახმა, ხოლო კიდევ 20 ოჯახს ხელშეკრულება უახლოეს მომავალში გაუფორმდება.

## სოფლის მოსახლეობის პრობლემებს გაეხსნენ

ოთარ ცინაბიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტში მოსახლეობასთან შეხვედრები, რომელიც აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით ფარგლებში იმართება, გრძელდება. ამჯერად ბარათაულისა და წყალსაყურის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობის წარმომადგენლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიშვილი და შუახე-

ბლიკიდან შემოტანილი მედიკამენტების სარეალიზაციო ობიექტის გახსნა ითხოვეს.

ითქვა, რომ წელს შუახევის მუნიციპალიტეტში ფერმერებს უფასოდ 185 ჰექტარ ნაკვეთს დაუხანავნ. ამ სიკეთით ბარათაულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების - ვანის, ზემოხევის, გომარდულისა და ბარათაულის მოსახლეობაც ისარგებლებს. გზების კეთილმოწყობაზე უკვე კონკურსის გამოცხადებული. დაწესებულია საძიებო სამუშაოები მთა კიკიბოს იაილების ელექტრიფიცირებისთვის, გვეგური ოპერაციების დაფინანსებაზე აჭარის მთავრობა მუშაობს.

ბრილის, ნაღვარევის, ჟანგორის, ხაბულაშვილების, ინჭირვეთის მოსახლეობის წარმომადგენლებს წყალსაყურის ადმინისტრაციულ ერთეულში მოუხსინეს. ამირან ბერიძემ, ტარიელ ბოლქვაძემ, ნოდარ ართემიძემ, ნინო ბიბინიშვილმა, იური ბერიძემ, ნუგზარ ბოლქვაძემ, ზურაბ შარაშიძემ სოფლების ცენტრების კეთილმოწყობაზე, ტურისტული სეზონის ორგანიზებულად შეხვედრაზე, ჰვანა-ბრილის, სოფელ ხაბულაშვილების ყელადულის უბანში, წყალსაყური-ნაღვარევის გზების ზამთრის ნარჩენებისგან გაწმენდაზე, თავინურზე მისასვლელი გზის თოვლისგან გაწმენდაზე, სამარტუტო ავტობუსების გრაფიკით მიმოსვლაზე გაამახვილეს ყურადღება.

ორივე ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობის წარმომადგენლებთან საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრები გვექონდა. პრობლემები, რომლებიც ამ ეტაპზე მოსახლეობას აწუხებს, დიდ თანხებთან არაა დაკავშირებული. მთავრობა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მათი გადაჭრის გზებს მალე გამოიხატავს. რიგი პრობლემები შეხვედრების მსვლელობისას მოგვარდა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით შექმნილი „სოფლის განვითარების საბჭო“ საქმიანობას მომავალშიც გააგრძელებს, - გვითხრა ზურაბ თენიშვილმა.



ვის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები ფატი ჭალაიძე და მალხაზ ტაკიძე შეხვედრენ. შეხვედრაზე სოფელში არსებულ გამოწვევებზე, მათი მოგვარების გზებზე ისაუბრეს.

ბარათაულის ზემოხეველებმა ამირან ქარცივაძემ, ეთერ ცენტრაძემ, დავით კილაძემ, ბარათაულელმა რევაზ ტარიელაძემ, გიორგი ჯაყელმა, გომარდულელმა რამაზ ქარცივაძემ სახანავალ ტრაქტორების დროულად გამოყოფა, სოფლის გზების კეთილმოწყობა, ბარათაული-ჭალის სარწყავი არხის შეკეთება, მთა კიკიბოს ელექტრიფიცირება, ამავე მთაში სასმელი წყლის გამოყვანა, გვეგური ოპერაციების სრული დაფინანსება, დაბა შუახევში თურქეთის რესპუ-

## ახალგაზრდები - ახალგაზრდებისთვის

ნათა აბულაძე 577 20 35 90

6 მაისს, ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი სამი წლის გახდა. ამ დროის განმავლობაში, სხვადასხვა მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. აღნიშნული ცენტრის დახმარებით, აჭარაში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა მოახერხეს თავიანთი შესაძლებლობების წარმოჩენა, გამართეს საინტერესო საღამოები, გამოფენები.

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე აღნიშნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თენიშვილი გვესაუბრა.

- ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი 2019 წელს დაარსდა.

3 წლის განმავლობაში ცენტრმა მოახერხა და შექმნა დაუფიქსარი ისტორია, რომელიც უამრავ ადამიანს აერთიანებს. ეს არის მეგობრობის, ურთიერთობის, სწავლის, მუდმივი შემეცნების, თავდადასავლების, გამარჯვებების, ახალი უნარების დაუფლების უწყვეტი ამბავი. ის, რაც დაიწყო სამი წლის წინ, მერა, კიდევ ძალიან დიდხანს გაგრძელდება, შეიცვლება ან ადამიანები, შეიცვლება და მუდმივად განახლდება პროექტები, მაგრამ უცვლელი იქნება იდეა, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების მხარდაჭერას, საერთაშორისო გამოცდილების მიღებასა და გაზიარებას. ამისათვის საჭი-

როა, ჩვენი ახალგაზრდები გაეცნონ ევროპული ცხოვრების სტილს, კულტურას, სამუშაო გარემოს, სწავლების მეთოდებს და ა.შ.

ცენტრის სურვილია, ადგილობრივ ბაზარზე საერთაშორისო სტანდარტებ-



ის დანერგვაში მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანით.

არსებობს 3-წლიანი ისტორიის განმავლობაში 200-მდე ახალგაზრდას მიეცა შანსი საერთაშორისო გამოცდილების მიღების, რაც გულისხმობს, საერთაშორისო ბანაკებში მონაწილეობას, კონფერენციებსა და ფორუმებზე დასწრებას, საზაფხულო სკოლებს, სტაჟირების პროგრამებს. ორგანიზაცია ახალგაზრდებს გზავნის არა მხოლოდ ევროპის ქვეყნებში, როგორცაა: იტალია, უნგრეთი, ლიეტუვა, შვედეთი, ირლანდია და ა.შ. არამედ ამერიკასა და კანადაში. დღეს ცენტრში არის რამდენიმე ახალგაზრდა, რომელიც ჩვენი პროგრამის დახმარებით დაესწრო მისთვის მნიშვნელოვან კონფერენციას საზღვარგარეთ.



# კონსოლიდირებული სივილური სამყარო და... წყალქვეშა დინებები

თითქმის მთელი მსოფლიო გაფაციცებით აღევნება თვალს ცივილური სამყაროს საერთო მტრის - რუსეთის აგრესიას მშვიდობიანი უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც საოცარ საბრძოლო სულისკვეთებას და თავგანწირვას ავლენს. ამიტომაც სჭრათ, რომ დასავლეთის მხარდაჭერით ის რუსეთის მის მიერვე წამოწყებული ომში მწარედ დაამარცხებს. თუმცა, სამწუხაროდ, ზოგჯერ წყალქვეშა დინებებიც იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ ამაზე - ქვემოთ...

მოგესხენებათ, ჯერ არ ამოქმედებულა სანქციების მე-6 პაკეტი, რომლის მიხედვით ევროკავშირი ეტაპობრივად რუსული ნავთობის სრულ აკრძალვას გეგმავს. როგორც ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენმა ამ პაკეტის გამოცხადებისას განაცხადა, ახალი სანქციები ასევე აკრძალავს სამი რუსული სახელმწიფო მფლობელის ევროკავშირის ტერიტორიაზე ეთერში გასვლას.

სანქციების სამიზნე, როგორც იცით, რუსეთის უდიდესი ბანკი „სბერბანკი“ გახდა, რომელიც „სვიფსის“ საგადასახადო სისტემიდან გაითიშება. რაც შეეხება მაღალი რანგის რუს სამხედრო ოფიცრებსა და სხვა პირებს, რომელთაც უკრაინაში შეჭრის დაწყებებიდან ომის დასრულებამდე ჩაიდინეს, ვერც ისინი აარადებენ თავს პასუხისმგებლობას: „ჩვენ ვიცით, ვინც ხართ, თქვენ ამას ვერ გაეცევით!“, - აღნიშნა ლაიენმა.

დღითი დღე ძლიერდება უკრაინის მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ხვალ ხელს მოაწერს კანონს ლენდ-ლიზის შესახებ უკრაინისთვის. იმავე დღეს „დიდი შვიდეულის“ ფორუმის ფარგლებში უფრო ქვეყნების კოლეგებს და უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ვიდეოკონფერენციაზე შეხვდება. „კვირას, დილით, პრეზიდენტი ბაიდენი „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ლიდერთა ვირტუალურ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი ხელმძღვანელობს. ლიდერებს უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი შეუერთდება. ისინი უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის უახლეს მოვლენებსა და მის გლობალურ მნიშვნელობას განიხილავენ, უკრაინისა და უკრაინის მომავლის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავენ“. - განაცხადა ეროვნული

უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი. რასაკვირველია, დღის წესრიგში ასევე რუსეთის წინააღმდეგ სანქციების საკითხიც იქნება.

სულ უფრო აქტუალური ხდება უკრაინისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. ეს ხაზგასმით აღნიშნა გუშინ რადიო თავისუფლებასთან „საუბარში ჩენეთის რესპუბლიკის ევროპის საქმეთა მინისტრმა მიკულაშ ბეკმა. შეგახსენებთ, რომ ჩენეთი წელს, საფრანგეთის შემდეგ, ივლისიდან დეკემბრამდე ევროკავშირის მორიგე თავმჯდომარე ქვეყანა იქნება.

ბეკმა ევროკავშირის 27 წევრ სახელმწიფოს შორის უკრაინისთვის წევრობის სტატუსის მინიჭების შესახებ კონსენსუსის საკითხზე განაცხადა, რომ რთული დისკუსია მიმდინარეობს, მაგრამ აშკარაა, რომ ევროპის ცნობიერებაში გარკვეული ცვლილებებია. ჩენი მინისტრი ამბობს, რომ ცდილობენ, რაციონალურად დაარწმუნონ ევროპელი პარტნიორები იმაში, რომ აუცილებელია უკრაინას მიეცეს პერსპექტივა, მიუხედავად იმისა, რომელიც უსაფრთხო იქნება და ამ ქვეყანას ექნება ხიბლი იმისა, რომ დევნილები დაბრუნდნენ. ამ მხრივ ყველაფერს ვაკეთებთ, - თქვა მიკულაშ ბეკმა, თუმცა აღიარა, რომ ვადებს ვერ დაასახელებს. მისი თქმით, ევროპის გაფართოებას ბევრი სკეპტიკოსი ჰყავს და მათ რიგებში, საფრანგეთთან ერთად, არიან გერმანია, ნიდერლანდები და სხვა დასავლეთევროპული ქვეყნები, თუმცა არსებობს სივრცე მათთან ღია დისკუსიისთვის, რომელსაც შეუძლია მათი აზრის შეცვლა - „ბოლო რამდენიმე თვეში ჩვენ ვიყავით მოწმე იმისა, თუ საზოგადოების და მასმედიის საშუალებების მხრიდან ზეწოლაში როგორ შეცვალა ევროპაში ზოგიერთი პოლიტიკოსის აზროვნება. მედია მართლაც დიდ როლს თამაშობს პოლიტიკოსების აზროვნებაში ცვლილებების პროცესში“. მიკულაშ ბეკის თქმით, ევროპის კავშირის მორიგე თავმჯდომარეობის დროს ჩენეთის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება უკრაინისთვის არსებითი ეკონომიკური დახმარების გაწევის გარშემო ღია დებატები...

მანამდე კი უკრაინის ფინანსთა მინისტრმა სერგეი მარჩენკომ BBC-ის განუცხადა, რომ რუსული ენერგეტიკის სრული ემბარგო დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. „ეს ძალიან მნი-

შენლოვანია და ამის გაკეთება აუცილებელია ახლავე მხოლოდ იმიტომ, რომ გაზისა და ნავთობის უზარმაზარი ფასები რუსეთს ენმარება, რომ მათი ბიუჯეტი ჩვენსაზე მეტი იყოს - რუსეთის ბიუჯეტი ძალიან დიდი მოგებით მუშაობს“, - განაცხადა მარჩენკომ და დასძინა, რომ არ ეფიქრობს, თითქმის რუსული ენერგორესურსების ყიდვის სრული აკრძალვა ომს დაასრულებს, მაგრამ ეს რუსეთს იმაზე მეტად დასაზარალებს, ვიდრე ახლა.

აღსანიშნავია, რომ ყველა არ იზიარებს ამ მოსაზრებას. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანის განცხადებით, ევროკომისიის მიერ წარდგენილი სანქციების მეექვსე პაკეტი, რომელიც რუსული ნავთობის იმპორტის აკრძალვას ითვალისწინებს, მნიშვნელოვნად დაზარალებს უნგრეთს. „რუსული ნავთობის იმპორტის აკრძალვა ჩვენთვის მიუღებელია; ამას უნგრეთის ეკონომიკაზე ატომური ბომბის დაცემის მსგავსი გავლენა ექნება. ნავთობზე ემბარგოს დაწესება ქვეყანაში საწვავის მკვეთრად გაძვირებას გამოიწვევს, ჩვენი მთავრობა კი იბრძვის, რათა ეს თავიდან იქნას აცილებული და შევძლოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დაცვა“, - განაცხადა ორბანმა. მისი განმარტებით, სხვა ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, უნგრეთისთვის რუსული ნავთობის მყისიერად ჩანაცვლება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ქვეყნის ინფრასტრუქტურა და ენერგეტიკული სისტემა თითქმის სრულადაა დამოკიდებული რუსეთზე, შესაბამისად, რუსეთიდან ნავთობის იმპორტის შესამცირებლად უნგრეთს გაცილებით მეტი დრო და რესურსები სჭირდება, ვიდრე - სხვა ქვეყნებს. უნგრეთისა და სლოვაკეთის მთავრობები ევროკავშირის მიერ გამოხატვის დაშვებას და მათთვის შედარებით ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდის დაწესებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ უნგრეთმა EU-ს სანქციების მეექვსე პაკეტს ვეტო დააღწიოს...

მოკლედ, კაცობრიობას წინ დაძაბული და მღელვარე დღეები ელის, როდესაც ბევრი რამ საბოლოოდ გაიჩვენება, თუმცა ყველა თანხმდება, რომ ამ უსამართლო ომში უკრაინამ აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს.

**მოამზადა  
ამირან ბურიანიძემ**

## უკრაინა

„ქალაქ მარიუპოლში „სოფსტალის“ ტერიტორიაზე თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების ბლოკირება გრძელდება, მტერმა, ჯარის ტერიტორიაზე კონტროლის დაწესებისთვის, ავიაციის მხარდაჭერით, შტურმი განახლა“, - აღნიშნულია უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშში. ამასთან, გენერალური შტაბის ინფორმაციით, უკრაინულმა ძალებმა გასული დღის განმავლობაში დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში მოწინააღმდეგის თერთმეტი შეტევა მოიგერიეს, განადგურდა რუსული ძალების 8 ტანკი, 11 ერთეული ჯავშანტექნიკა და 5 მანქანა. გენშტაბის ცნობით, პოპასნაიას მიმართულებით ოკუპანტებმა დიდი ძალისხმევა მიმართეს პოპასნაიას დასახლებაზე სრული კონტროლის დაპყრობასა და ლიმანისა და სევერსკის დასახლებებზე შეტევის განახლებისთვის. რუსულ ძალებს სევეროდონეცკის, ადვეცკის, კურახოვსკის, ნოვოპავლოვსკის და ზაპოროჟიას მიმართულებით აქტიური საომარი მოქმედებები არ განუხორციელებიათ, მაგრამ ცეცხლის გახსნით ცდილობდნენ უკრაინელი ჯარისკაცების ქმედებების შეზღუდვას და საარტილერიო ნაწილების განადგურებას.

„რუსი ოკუპანტები არა მხოლოდ ანადგურებენ პოპასნაიას ლუგანსკის ოლქში, არამედ მას ოლქის რუკიდან შლიან“, - აცხადებს ლუგანსკის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერჟი გაიდაი „ტელეგრამში“, სადაც CNN-ის მიერ გავრცელებულ კადრებს ეხმიანება. „პოპასნაია განადგურებულია. სასენი ბრძოლა გრძელდება. ოკუპანტები უმოწყალოდ წვავენ ქალაქს. ვიდეო, სავარაუდოდ, „რასისტა“ სადაზვერვო თვითმფრინავმა გადაიღო, რომლის მიზანი უკრაინულ დამცველებზე ნადირობა იყო. ვიდეოში ჩანს, რომ პოპასნაიას ცენტრი თითქმის მთლიანად განადგურებულია. ეს არის რუსული არტილერიისა და სარაკეტო დარტყმის შედეგები. ორკების მიზანი სრული განადგურებაა“, - წერს გაიდაი. ვიდეოს ანალიზისას CNN-ის ჟურნალისტები, სამხედრო ექსპერტებზე დაყრდნობით, აცხადებენ, რომ რუსეთმა არ იცის, როგორ იბრძოდეს და საბრძოლო მოქმედებებში იგი იცავს ყველაფრის სრულად განადგურების ტაქტიკას. ვიდეოს გადაღე-

ბის კონკრეტული თარიღი უცნობია, მაგრამ ცნობილია ის, რომ ბოლო დღეებში პოპასნაიას ოლქის ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობს, რადგან რუსული ძალების თავდასხმებს უკრაინის თავდაცვა წინააღმდეგობას უწევს.

CNN: „იაპონია რუსეთს დამატებით სანქციებს უწევს“. სანქციები მოიცავს კიდევ დაახლოებით 140 რუსის აქტივების გაყინვას. იაპონია ასევე გააფართოვებს იმ რუსული ბანკების სიას, რომლებიც სანქციებს დაექვემდებარება. რუსეთის ფედერაციაში აკრძალვა სამხედრო საქონლის, კვანტური და მოწინავე ტექნოლოგიების ექსპორტი. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, რუსეთის ფედერაციასა და იაპონიას შორის ურთიერთობა დაიძაბა. ორივე ქვეყანა ერთმანეთს სანქციებს უწევს. იაპონიამ რუსეთის იურისდიქციაში მყოფი კურილისის კუნძულების თემა გაააქტიურა, რომლებსაც საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს.

რუსმა აგრესორებმა უკრაინის ოკუპირებული რეგიონებიდან ნახევარი მილიონი ტონა მარცვლული მოიპარეს. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. სრულმასშტაბიანი ომის დასაწყისში უკრაინის საწვობებში 20 მილიონი ტონა მარცვლული დარჩა. ამავდროულად, 1,5 მილიონი ტონა რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულ ხერსონის, ზაპოროჟიის, ლუგანსკის და დონეცკის რეგიონებშია. „მიმდინარე საბაზრო ფასების გათვალისწინებით, დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე რჩება უკრაინული მარცვლული, რომლის ღირებულება დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარია. სულ უფრო ხშირია ცნობები მათი პროდუქციის ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დარბევისა და ქურდობის შესახებ. მაგალითად, ლუგანსკის რაიონში რუსებმა რეგიონის მცხოვრებლებს სამი წლის წინანდელი მარცვლული გაუნადგურეს. მელოტიპობლის მერმა ივან ფედოროვმა განაცხადა, რომ ოკუპანტების სურვილია, უკრაინულ გლეხებს მოსავლის 70% წაართვან“, - წერს მედიასაშუალება.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი უკრაინის ოკუპაციის რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური მისიონის უწოდებს. ამასთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ-

როს ხელმძღვანელი უკრაინის წინააღმდეგ ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას არ გამორიცხავს. ამაზე მიუთითებს სერგეი ლავროვის ჩანაწერი, სადაც ის დსთ-ს ქვეყნების დიპლომატიური კორპუსების წარმომადგენლებს არაფორმალურ გარემოში ესაუბრება. „უკრაინა ცნობილი აჩემება. ჯერ კიდევ ბუჩინსკი ამბობდა, რომ რუსეთი უკრაინის გარეშე იმდენ არაფერია, უკრაინასთან ერთად კი დიდი ძალაა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ასე გავრძელდეს, ომები და საომარი მოქმედებები თავიდან იქნეს აცილებული მუდმივი გეოპოლიტიკური დათმობების ფასად“, - აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტროს ხელმძღვანელი. რუსეთის ფედერაციის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობის კითხვის პასუხად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არ გამორიცხა მომავალში ბირთვული იარაღის გამოყენება: „ერთხელ მკითხეს, გამოიყენებს თუ არა რუსეთი ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს, ვასუსობ, რომ ჩვენ ოპერაციას ვატარებთ ჩვეულებრივი შეიარაღებით, ამ ეტაპზე - ჩვეულებრივი შეიარაღებით“.

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შედეგად 223 ბავშვი დაიღუპა, - ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია უკრაინის პროკურატურასზე დაყრდნობით ავრცელებს. „2022 წლის 5 მაისის დღის მდგომარეობით“ უკრაინაში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული აგრესიის შედეგად 631-ზე მეტი ბავშვი დაშავდა. ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 223 ბავშვი და დაშავდა 408-ზე მეტი“, - ნათქვამია განცხადებაში. აღნიშნულია, რომ ეს მარჯვენა მხარე არ არის ზუსტი, რადგან ჯერ კიდევ მიმდინარეობს მუშაობა აქტიური საომარი მოქმედებების ადგილებზე, დროებით ოკუპირებულ და გათავისუფლებულ ტერიტორიებზე. პროკურატურის ცნობით, ყველაზე მეტად დაზარალებულნი დონეცკის ოლქში, სადაც დაიღუპა 139 ბავშვი, კიევში - 116, ხარკოვში - 95, ჩერნიოვოში - 68, ხერსონში - 46, მიკოლაევში - 44, ლუგანსკში - 37, ზაპოროჟიში - 27, სუმიში - 17, უიტომირში - 15. რუსეთის შეიარაღებული ძალების მხრიდან დაბომბვების შედეგად დაზარადა 1607 სასწავლო დაწესებულება. მათგან 121 მთლიანად განადგურდა.

**მოამზადა  
ამირან ბურიანიძემ**

## უხსოვარი

გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა განაცხადა, რომ უკრაინაში უაზრო და დაუნდობელი ბრძოლის დასასრულებლად მსოფლიო უნდა გაერთიანდეს. „უკრაინაში უმეტეს არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და გაეროს წესდების დარღვევა და ეს უნდა დასრულდეს უკრაინის, რუსეთის ხალხისა და მთელი მსოფლიოს გამო“, - აღნიშნა მან ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

ბენტონის ოფიციალური წარმომადგენელი ჯონ კირბი არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ აშშ-მა გადასცა უკრაინას კრემლს „მოსკვას“ ზუსტი კოორდინატები. კომენტარს „სი-ენ-ენი“ ავრცელებს. „უკრაინელებს დაზვერვის სფეროში აქვთ რუსული ხომალდების თვალთვალის და მიზანში ამოღების საკუთარი შესაძლებლობები, რაც მოხდა კიდევაც ამ შემთხვევაში“, - განაცხადა კირბი. მანამდე „სი-ენ-ენი“ იტყობინებოდა, რომ გაშინგტონმა კიევს, მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული ხომალდის ადგილმდებარეობის ზუსტი კოორდინატები მიაწოდა. 14 აპრილს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ „მოსკვა“ ხანძრის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა, რასაც მასზე არსებული საბრძოლო მასალის აფეთქება და ფლავმანის ჩაძირვა მოჰყვა.

რუსეთის საელჩო ვაშინგტონს ქვეყანაში არსებული ქიმიური იარაღის განადგურებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაციამ ჯერ კიდევ 2017 წელს მოახდინა საკუთარი არსენალის ლიკვიდაცია, რაც ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციაშიც დაადასტურა. საელჩოში აღნიშნავენ, რომ ამერიკული მედია კვლავაც იმეორებს შტატების „ოლიონურ ბრალდებებს“ რუსეთის მიერ ქიმიური იარაღის კონვენციის დარღვევისა და უკრაინაში მისი გამოყენების გეგმის შესახებ. „სწორედ აშშ, და არა რუსეთი, რჩება ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის ერთადერთ წევრ ქვეყნად, რომელიც ფლობს საბრძოლო მოწინააღმდეგე იარაღის მარაგს“, - განაცხადა ვაშინგტონში რუსეთის ელჩმა ანატოლი ანტონოვმა.

გერმანია უკრაინას თვითმავალ ჰაუბიცებს გადასცემს, - ამის შესახებ ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ქრისტინე ლამბრუსტი აცხადებს. მისივე თქმით, აღნიშნული ტექნიკის გამოყენებისთვის საჭირო გადაზიდვებს უკრაინული ჯარის ნაწილები მომდევნო კვირიდან გაივლიან. უწყების ინფორმაციით, საუბარია შვედ ეროვნულ ტექნიკაზე. ანალოგიური განცხადება რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ნიდერლანდებმაც. კრძოდ, ქვეყანა უკრაინისთვის ხუთი ჰაუბიცის გადაცემას გეგმავს.

ბოლონეთმა და ბალტიის ქვეყნებმა რუსულ გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად ახალი გაზსადენი გახსნეს, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროკავშირის ბლოკის დანარჩენ ნაწილთან აკავშირებს. 508 კმ სიგრძის მილსადენი წელიწადში ორ მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზის გატარებას შეძლებს. მასზე წვდომა ფინეთსაც ექნება. გაზსადენის მშენებლობა 500 მილიონი ევრო დაჯდა და, მეტწილად, ევროკავშირმა დააფინანსა.

**მოამზადა  
იკა შვილიძემ**





# საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სისტემა – გლობალური ჯაჭვის ნაწილი

ნანა აბულაძე 591 98 59 17

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სფეროს განვითარებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. აღსანიშნავია, რომ დღეს ქართველ მეზღვაურებს 62 სხვადასხვა ქვეყნის დროშით მცურავ გემებზე შეუძლიათ დასაქმება, მათ შორის 19 ევროკავშირის წევრი ქვეყანა. კონკრეტულად, სფეროში არსებულ მიღწევებზე, საზღვაო დარგის პრიორიტეტულობასა და ევროპასთან დაახლოების მნიშვნელობაზე ჩვენთან საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა **ტიმარ იოსელიანმა** ისაუბრა:

**- როგორია საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის განვითარების ტემპები, პანდემიამ რა გავლენა მოახდინა მასზე?**

- საზღვაო სფერო გამოირჩევა გლობალური ხასიათით და მაღალი მგრძობილობით მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების მიმართ. რა თქმა უნდა, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის დარგზე, რომელიც გლობალური ჯაჭვის ნაწილია, იქონია გავლენა პანდემიამ და მსოფლიოში მიმდინარე სხვა მოვლენებმა, თუმცა თანამედროვე მიდგომების, ორგანიზებული მართვისა და კომარდისაციის, კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის წყალობით, შევძელით არცთუ მარტივ გამოწვევებთან გამკლავება. საქართველოს საზღვაო დარგი სტრატეგიული განვითარების გეგმას მიჰყვება. ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ამ სფეროში დასახულ მიზნებს და ეს კარგად გამოჩნდა სწორედ ევროკავშირთან ურთიერთობაში მიღწეული წარმატებით: ქვეყნის

მედროვე, ევროპულ სტანდარტებთან თანხვედრაში ყოფნის თვალსაჩინო მტკიცებულება.

**- რა შეიცვალა ქართველი მეზღვაურებისთვის, როგორია დღეს მათი დასაქმების ბაზარი?**

- დღეს ჩვენ გვყავს 14 000-მდე მეზღვაური, რომლებიც საერთაშორისო ბაზარზე არიან დასაქმებულნი და სერვისის ექსპორტს ეწევიან. ამ მიმართულებას თან ახლავს ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორიც. თითოეული მეზღვაურის უკან, ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე ოჯახი დგას. თქვენ იცით, რომ რეგიონის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ მეზღვაურები და მათ მიერ ქვეყნის ეკონომიკაში შემოტანილი უცხოური ვალუტაა, რომელიც ყველაზე კონსერვატიული გათვლებით, ყოველწლიურად ნახევარ მილიარდ ლარს აღწევს. სახელმწიფო აგრძელებს მეზღვაურის პროფესიის მაქსიმალურ მხარდაჭერას. ყოველწლიურად ვაფართოვებთ ქართველი მეზღვაურების დასაქმების ბაზარს. დღეს მათ 62 საზღვაო დროშით მცურავ ფლოტში შეუძლიათ სამსახური, მათ შორის 19 ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ძალიან გვაძვირებს და გვახარებს ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში თვალსაჩინოა მაღალი რეპუტაციის მქონე გემთმფლობელთა ინტერესი ქართველ მეზღვაურთა მიმართ, საგრძნობლად გაზრდილია სანდო საქრუინგო კომპანიების რიცხვიც, რომლებიც საქართველოში ოპერირებენ. ეს ყველაფერი კი ჩვენი მეზღვაურების ღირსეულად დასაქ-



ლი რუკების, სატვირთო ოპერაციების და დინამიკური პოზიციების სიმულატორები შესაბამისობაში მოვიდნენ უახლესი მოდელი გემებთან. სიმულატორებზე შესაძლებელია ყველა ტიპის და სიროთლის პრაქტიკული დაავლებების შესრულება, აქვს სიმულაციების შეფასების მოდულიც. პროექტის ღირებულებამ მილიონ 400 000 ლარი შეადგინა. დღესათვის, შავი ზღვის რეგიონში მეზღვაურთა არცერთ ტრენინგცენტრს არ გააჩნია მსგავსი უახლესი, 6.0 მოდელის პროგრამები, რომლებიც დახვეწილი ვიზუალიზაციით, დეტალურობით და ეფექტებით გამოირჩევა, რაც წვრთნების რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გაზრდის მოქმედ მეზღვაურთა სიმულატორული წვრთნების და შეფასების ხარისხს. 2022 წელს სამანქანო განყოფილებაში დამატებით მოეწყო და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვა 3 საინჟინრო ლაბორატორია, რომლებიც თანამედროვე გემების სამანქანო განყოფილების ანალოგიურია და აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სიმულატორებით, რომლებიც უახლესი ძრავებისა და სამანქანო განყოფილების ვიზუალიზაციას იძლევა. სტუდენტები და მოქმედი მეზღვაურები პრაქტიკულ სწავლებას რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში გაივლიან და პრაქტიკულ ამოცანებს სამანქანო განყოფილების რესურსების მართვისა და მაღალი ძაბვის სიმულატორებზე შეასრულებენ. აქვე აღვნიშნავ კიდევ ერთ მსხვილ პროექტს - 2021 წელს საზღვაო აკადემიის სტუდენტებისა და მოქმედი მეზღვაურებისთვის თანამედროვე და მრავალფუნქციური საწვრთნელი აუზი გაიხსნა, სადაც რეალურთან მიახლოებულ, სხვადასხვა ამინდის სიმულაციების პირობებში შეუძლიათ გააირიონ პირველადი და კოლექტიური უსაფრთხოების, ზღვაზე გადაჩენის და სამაშველო ოპერაციების წვრთნები. აუზი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებს.

ტოს „აწარმოე საქართველოში“ ერთობლივი მუშაობის შედეგად პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ დაემატა თევზჭერის მიმართული. სახელმწიფოს მხარდაჭერით, მიმდინარეობს საზღვაო თევზჭერის დარგის აღდგენა და თევზჭერის ფლოტის განახლება. პროგრამის ფარგლებში 13 თევზსაჭერი გემის შექმნა დაფინანსდა. საქართველოს ტერიტორიაზე უკვე შემოსულია 5 გემი და წლის ბოლომდე ოცეგემა დანარჩენი გემების შემოსვლა. პროგრამის დაწყებამდე 30 სეინერი (თევზსაჭერი გემი) გვყავდა, რომელზეც 500-მდე მეთევზე-მეზღვაური იყო დასაქმებული. მოძველებული გემები ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს დაბალი საიმედოობის და წარმადობის გამო, მეთევზე-მეზღვაურების სათანადო დონეზე გადაზიდვებაც კი ვერ ხერხდება. ახალი გემებით მეთევზეები წლიური თევზჭერის კუთხის მაქსიმალურ ათვისებას შეძლებენ. შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილებიც. აღსანიშნავია, რომ ფოთის ახლგახსნილი საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი მეთევზე-მეზღვაურთა თანამედროვე ლაბორატორიის წყალობით, საზღვაო თევზჭერის დარგს მაღალკვალიფიციურ კადრებს მიაწვდის.

**- ახლო მომავალში რა სიახლეებს უნდა ველოდეთ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსგან?**

- ახლო მომავალში დავასრულებთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტებს სანავსადგურ სექტორის მიმართულებით, რომლებიც უახლოვს მომავალში თვისობრივად შეცვლის და გააუმჯობესებს ჩვენი საზღვაო პორტების ლოგისტიკურ შესაძლებლობებს. ეს არის საზღვაო სერვისების გაციფრებისა და საქართველოს ნავსადგურებში ერთი ფანჯრის (Single window) სისტემის დანერგვის პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს ტვირთების გამტარუნარიანობის გაზრდას, მოგვეცემს შესაძლებლობას, წინასწარ დავაგეგმოთ ტვირთინაკადები სახაზო/რეგულარული მიმოსვლის გემებისათვის და ასევე, ტვირთების კატეგორიებისა და მოცულობის მიხედვით, გააუმჯობესებს ნავსადგურში გემის შესვლა/გასვლასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციების პოლიტიკას და პროცესებს როგორც საზღვაო, ასევე, კერძო სექტორში. როგორც აღვნიშნე, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სისტემა გლობალური ჯაჭვის ნაწილია და საპორტ სექტორის გაციფრება მოგვცემს საშუალებას, შევუერთდეთ ნავსადგურის გაერთიანების სისტემას (Port Community System - PCS). PCS ეს არის პლატფორმა, რომელიც სხვადასხვა სანავსადგურ სისტემას ერთმანეთთან დააკავშირებს და ინფორმაციის სწრაფ და უსაფრთხო გავრცელების საშუალებას იძლევა დაინტერესებულ მხარეებს შორის (კერძო და საჯარო). პლატფორმა გააუმჯობესებს სანავსადგურ და ლოგისტიკური პროცესების მართვას, რაც უფრო სწრაფსა და მოქნილს გახდის ლოგისტიკურ პროცესებს, შეამცირებს გემისა და სატვირთო მანქანების დაყოვნების და ასევე, ტვირთის დამუშავების დროს, საბაზო პროცედურებს და გააუმჯობესებს ქართული სანავსადგურ სექტორის კონკურენტუნარიანობას. აღნიშნული პროექტები უახლოვს მომავალში თვისობრივად ამაღლებს საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში მომსახურების დონეს. EBRD ფინანსური მხარდაჭერით, უკვე დასრულდა PCS სისტემაში ინტეგრირების პროექტის I ეტაპი - მიზანშეწონილობის კვლევა. მნიშვნელოვანი სამუშაო ხორციელდება საქართველოს საზღვაო დროშის განვითარების და გემების მოხრიდვის მიმართული. მუდმივად მიმდინარეობს დროშის კონსოლიდაცია და გემების რეგისტრაციის პროცესის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. საქართველო წარმატებულ საზღვაო ქვეყნად ყალიბდება, სადაც უახლოეს მომავალში ინდუსტრიის ყველა მიმართულების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება. უსაფრთხო ნაოსნობის, თანამედროვე, ციფრული, ხარისხზე ორიენტირებული მომსახურებების უზრუნველყოფით და ინოვაციური პროექტების განხორციელებით ჩვენ ვქმნით შესაძლებლობებს საქართველოსთვის - ჩამოყალიბდეს მოწინავე საზღვაო ქვეყნად. ჩვენი ყოველდღიური შრომა ამ მიზნისკენ უსაფრთხოდ, გონივრულად და მტკიცედ სვლაში მდგომარეობს.



საზღვაო სექტორი აქტიურად ინტეგრირდება ევროკავშირის სტრუქტურებში, თითქმის სრულად დანერგულია საზღვაო სფეროში ევროპასთან ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული რეგულაციები და დირექტივები და უახლოვს მომავალში ქვეყანა სრულად უპასუხებს ევროპულ საზღვაო სტანდარტებს.

**- როგორც ვიცით, სააგენტო 11 წლისაა, რას მიიჩნევთ ამ დროის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად?**

- 11 წლის განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი და რეფორმა განხორციელდა, რამაც ძირითადი და სისტემური ცვლილებები მოიტანა საზღვაო დარგში, თუმცა იმის ფონზე, რომ 2-დან 11 მაისის ჩათვლით ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (European Maritime Safety Agency) აუდიტს გავედგარეთ, გამოვყოფდი მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების მიმართულებას. შეიძლება ვთქვათ, რომ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ისტორია 2010 წელს ევროკავშირის მიერ ქართველი მეზღვაურების სერტიფიკატების აღიარების გაუქმებით დაიწყო, რომელსაც სწორედ EMSA-ს აუდიტის დასკვნა დაედო საფუძვლად. მას შემდეგ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. 2013 წელს აღიარებაც დაეიბრუნეთ და წლებია, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ე.წ. თეთრი სიაში ვართ, რაც საქართველოს მეზღვაურთა განათლების და სერტიფიცირების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას ადასტურებს. როგორც ვთხარით, წელს კიდევ ერთხელ გავიცით ამ აუდიტს და დარწმუნებული ვარ, შედეგებით ყველა ვიამაყებათ. ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის აუდიტის დასკვნა ნამდვილად იქნება საქართველოს საზღვაო განათლების, წვრთნისა და სერტიფიცირების სისტემის განვითარებისა და სრულიად თანა-

მებაზე აისახება. ამ მიმართულებით კიდევ ერთი წინადადგმული ნაბიჯია მეზღვაურთა შრომის ბაზრის რეფორმა. უკვე მომზადებულია „საზღვაო შრომის შესახებ“ (MLC) კონვენციის სარატიფიკაციო პაკეტი თანმდევი კანონპროექტებთან ერთად. მათ შორისაა „მეზღვაურთა შრომის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიც. კონვენციის რატიფიცირება და შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება ქართველ მეზღვაურებს ფართო შრომითი უფლებებითა და სამუშაო ადგილებზე დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფს.

**- გვინდა გვესაუბროთ რეაბილიტირებულ საწვრთნელ ცენტრზე, როგორც შესაძლებლობაზე სტუდენტებისთვის...**

- ჩვენ გვჭირდება რაც შეიძლება მეტი პროფესიონალი და პროგრესულად მოაზროვნე კადრი საზღვაო სფეროში, რათა ფეხი ავუწყოთ მსოფლიოს. კონკურენცია უნდა გავუწიოთ წამყვან საზღვაო ქვეყნებს და ეს ხარისხიანი განათლების შედეგად უნდა მოხდეს. შესაბამისად, საზღვაო განათლება და წვრთნა არის უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რასაც ყველანაირად გუქვით მხარს. 2012 წლიდან დღემდე 30 მილიონ ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა მხოლოდ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო საზღვაო სასწავლებელია. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი, რაც სახელმწიფოს ხელშეწყობით 2022 წელს განხორციელდა, სწორედ აკადემიის მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის სრული რეაბილიტაციაა. შეიცვალა კომპიუტერული ტექნიკა და განხორციელდა არსებული სიმულატორების პროგრამული განახლება: ხიდურის, სამანქანო განყოფილების, ელექტრონუ-

# რაზე მიზნობრივად და რას გვირჩევს აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოება სანამ ატმოსფერო კატასტროფულად დაბინძურდება

ბათუმის ქუჩებში ავტომობილების მატება, მსუბუქად რომ ვთქვათ, გვარდის დისკომფორტს უქმნის ბათუმელებსაც და ქალაქის სტრუქტურასაც. ჩვენი ტურისტული სეზონის პიკამდე საკმაოდ შორს ვართ, მაგრამ ქალაქში მომრავლებული საცობები მრავალჯერ თავსატეხად და ქვეყნის არა მარტო ავტოტრანსპორტის მფლობელთათვის, არამედ ფეხით მოსიარულეთათვისაც. ჩვენს გაზეთში არაერთხელ დაწერილა ამ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებზე: არასაკმარის და მოუხერხებელ პარკინგზე, ქუჩების სივრცეებზე, დარღვევებზე მოსახლეობის მხრიდან და ასე შემდეგ. ამ აქტუალურ და საკმაოდ გავრცელებულ პრობლემას დღეს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოება ეხმაურება, რადგან ეს საკითხი ჩვენს ჯანმრთელობასაც ეხება. გვესაუბრება ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი, ცნობილი ქირურგი **აბაში ბერიძე**



იც რადიკალურად განტვირთავს ქალაქს, მაგრამ მანამდეც გვმართებს სერიოზული პრევენციული ღონისძიებების გატარება. ჩვენ გვესმის, რომ ამ საკითხის მოგვარება ძალიან სტრუქტურული, ქალაქის მერიის, ხელისუფლების პრეროგატივაა, მაგრამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაზე ყველამ უნდა იფიქროს, აქ გულგრილობა დაუშვებელია.

ლი იყო. ამის შედეგია, რომ ქვეყნის შესანიშნავი საკურორტო ქალაქი შეუნარჩუნდა. დღეს კი მდგომარეობა უარესობისკენაა შეცვლილი.

- ქალაქის დაგეგმარების შედეგების შეცვლა დღეს შეუძლებელია, თუმცა საავტომობილო მოძრაობის განტვირთვისა და შაერის კიდევ უფრო დაბინძურების თავიდან აცილებაზე აუცილებლად უნდა ვიფიქროთ...

- ზაფხულამდე კიდევ რჩება დრო პრევენციული ღონისძიებებისთვის. როგორც ქვეყნის მთავარი ტურისტული ქალაქი, ბათუმი თანდათან უნდა გადავაქციოთ ეკოლოგიურად სუფთა ქალაქად. განვითარების პერსპექტიულ გეგმაში უნდა გავითვალისწინოთ ქუჩების, სკვერების, ავტოსადგომების მშენებლობის ნიუანსები ეკოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად. გლობალური პრობლემების გადაჭრა ხელისუფლებას მივანდოთ, ჩვენ კი, ერთობლივი ძალისხმევით შეგვიძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებაშიც და საერთოდ, ბათუმის, როგორც ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველ ქალაქად გადაქცევაში, ისე ადგი-

აკუმულატორისძრავიანი ეტლის, მცირეგაბარიტის ავტომობილის ტარების შემსწავლელი კურსები;

ბ) აუცილებელია, რომ გავაუმჯობესოთ ქუჩაში მოძრაობის წესების სწავლების ხარისხი; გ) აიკრძალოს გზაჯვარედინებზე მოწყობის სათხოვნელად ზაფხულის დგომა (ხშირად იქმნება ავარიული სიტუაცია); დ) გაძლიერდეს კონტროლი ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვაზე; ე) ქალაქში აიკრძალოს ხმაურიანი მოძებებით მოძრაობა; ვ) ზაფხულში ჩატარდეს ქალაქის განტვირთვის ექსპერიმენტი - ერთი დღით აიკრძალოს ნავთობის საწვავზე მომუშავე ავტომობილების მოძრაობა, მხოლოდ სასწრაფო დახმარების, პოლიციისა და სპეცდანიშნულების მანქანებს, ტაქსებს მიეცეთ ქალაქში გადაადგილების უფლება. ექსპერიმენტის წარმატების შემთხვევაში ასეთი დღეების რაოდენობა თანდათანობით გაიზარდოს; ზ) ორგანიზაცია-დაწესებულებებში - საავადმყოფოებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში გაიხსნას ველოსიპედის ტარების პრაქტიკული სასწავლო კურსები; თ) ენთუზიასტებს ნება დაეცეთ, ზღვისპირა პარკში შექმნან ჰიგინური ვარჯიშების და ცხოვრების ჯანსაღი წესების შემსწავლელი ჯგუფები.

## ზაფხულში ჩატარდეს ქალაქის განტვირთვის ექსპერიმენტი - ერთი დღით აიკრძალოს ნავთობის საწვავზე მომუშავე ავტომობილების მოძრაობა, მხოლოდ სასწრაფო დახმარების, პოლიციისა და სპეცდანიშნულების მანქანებს, ტაქსებს მიეცეთ ქალაქში გადაადგილების უფლება. ექსპერიმენტის წარმატების შემთხვევაში ასეთი დღეების რაოდენობა თანდათანობით გაიზარდოს

ზაფხულის სეზონისთვის მნიშვნელოვნად მატულობს, წლებიდან წლებით კი რეკორდულ რაოდენობას მიიღწევს. ვფიქრობთ, ეს ქალაქის ქუჩებში მოძრაობის კოლაფსს გამოიწვევს. ამავე დროს, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ გამონაბოლქვი აირებისა და მტვრისაგან დაბინძურებული შაერით სუნთქვა გაჭირდება, ყურთასმენას წაიღებს ხმაური, მოინატნებს ტრავმები, ზოგადად, გაუარესდება ეკოლოგიური მარჯვენა გვეთხრა აკაკი ბერიძემ და ჩვენს შეკითხვაზე, - რამ შეიძლება შეამსუბუქოს ეს მდგომარეობა, გვიპასუხა:

- ნამდვილად ხსნა იქნება შემოვლითი ავტობანის მშენებლობის დამთავრება, რომელ-

ყველა სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებამ უნდა იზრუნოს მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ტრანსპორტის მოძრაობისა და პარკინგების უსაფრთხოებაზე. უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლებისათვის განკუთვნილი ჰიგინის სახელმძღვანელოს ადრინდელ გამოცემებში ხაზგასმული იყო, რომ მსოფლიოს ორ ქალაქს - ლოდონს და ბათუმს სმოგის განვითარების საშუალება ემუქრება, თუ ნაგებობები ხელს შეუშლის ქალაქის განვითარების ბუნებრივ პროცესს. მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო ავტომანქანების ასეთი სიმრავლე ბათუმში, მაგრამ ზღვისპირა ზოლში მაღლივი სახლების და ზღვის ნიავე ქალაქის აერაციის დამატარებელი სხვა ფაქტორების წინააღმდეგ ხელისუფლება შეუვა-

ლობრივებისთვის ჯანმრთელი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში..

- როგორ?

- პერსპექტივაში ბათუმი უნდა განტვირთოს ნავთობის საწვავზე მომუშავე ავტოტრანსპორტისგან. ქალაქის ტერიტორიის მოცულობაც და რელიეფიც საშუალებას იძლევა, ვიართო ფეხით, ველოსიპედით, სკროლი, აკუმულატორზე მოძრავი ეტლებით, მცირე გაბარიტის მანქანებით.

დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მოსამზადებელი სამუშაოები:

ა) ხალხმრავალ დაწესებულებებში (სასწავლო და სამედიცინო), მსხვილ საწარმოებში უნდა გაიხსნას ველოსიპედის, სკროლის,

შესაბამის ორგანოებს - ბათუმის ტურისტულ სააგენტოს, ბათუმის მერიას, განათლების სამინისტროს, ჯუმბერ ჭელუას აკადემიას ვთხოვთ, თანადგომა გაუწიონ ორგანიზაციებს ამ პროექტის განხორციელებაში. ცუდი არ იქნებოდა ისიც, რომ შესაბამისი შესაძლებლობის მქონე ფირმებმა შემოიტანონ დიდი რაოდენობით ველოსიპედები, ელექტროსკუტერები, აკუმულატორიანი ეტლები და სხვა მცირე ზომის გადასადგილებელი ტრანსპორტი.

ვფიქრობთ, ზემოთ აღნიშნული ექსპერიმენტი, მართლაც, წაადგება ატმოსფეროს გაჯანსაღებას როგორც ფეხით, ისე სულიერადაც. მოგუაროთ ჩვენს ქალაქს, მეტი ვიართო ფეხით, ველოსიპედით. ყურად გილოთ მედიკოსთა რჩევები, სანამ ბათუმი შაერის დაბინძურებით ერთ-ერთ პირველ ადგილზე არ აღმოჩნდება მსოფლიოში.

მარი მისაძე

## განათლება კოლეჯი „ბლექსი“ - მრავალპროფილური პროფესიული დანესახულება

**ნაირა მუხტარაძე 27 48 93**

ეს საუკუნე ახალ მოთხოვნებს წარმოშობს, აზროვნებაც ახლებური ხდება, აქედან გამომდინარე, აუცილებელია, სავანმანათლებლო კერები თანამედროვე და კრეატიული იყოს, რათა კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ შეძლოს ამა თუ იმ სფეროში დასაქმება. სწორედ ერთ-ერთი ასეთი კერაა სსიპ „კოლეჯი „ბლექსი“, რომელიც ქვეყნისთვის, რეგიონისთვის მნიშვნელოვან საქმიანობას ახორციელებს. ცნობისათვის, ზემოაღნიშნული კოლეჯი ქალაქ ბათუმში წლების განმავლობაში არსებული პროფესიული სავანმანათლებლო სასწავლებლების სამართალმემკვიდრეა. კოლეჯმა არაერთჯერ იცვალა სახელწოდება და 2011 წელს დაფუძნდა როგორც სსიპ „კოლეჯი „ბლექსი“. პროფესიული სასწავლებლის საქმიანობაზე „ბლექსის“ პიარ-მენეჯერი **თამარ ღიასანიძე** გვესაუბრა

- კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ სავანმანათლებლო პროგრამებს: მოდულური (პროგრამა შედგება ზოგადი, არჩევითი და სავალდებულო მოდულებისაგან. პროგრამებზე სწავლება, ძირითადად, პრაქტიკულია და მიმდინარეობს სავანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამის ბიზნესორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით), დუალური პროგრამა (სორციელებს სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური მიდგომით, რაც ნიშნავს, რომ სავანმანათლებლო დაწესებულება და კომპანია ინაწილებენ პასუხისმგებლობას სტუდენტის მომზადებაზე და პროგრამის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გა-



რემოში - კომპანიაში) და ინტეგრირებული სწავლების მიდგომით (ტურიზმი, მშენებლობა, ინჟინერია, წარმოება, IT, აგარული და ტექსტილის მიმართულებები). კოლეჯი სწავლის მსურველებს სთავაზობს სწავლებას სახელმწიფო დაფინანსებით, პროფესიული ზრდის შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, დუალური მიდგომით სწავლებას, ინტეგრირებულ პროგრამებს, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს, დასაქმების შესაძლებლობას, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის სერვისს და ა.შ. კოლეჯი პროფესიულ სავანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს სამ ლოკაციაზე, მათ შორის არის ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტები.

2022 წლის 2 მაისს კოლეჯში პროფესიულ სავანმანათლებლო პროგრამებზე დაიწყო რეგისტრაცია და გაგრძელდება 22 აგვისტოს ჩათვლით. „ბლექსი“ აცხადებს რეგისტრაციას შემდეგ პროგრამებზე: სასტუმრო მო-

მსახურება, სარესტორნო მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, ინფორმაციის ტექნოლოგია, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება, ელექტრობა, საავტომობილო გზების მშენებლობა, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, შედუღება, სამკერვალო წარმოება. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია ონლაინ [www.vet.emis.ge](http://www.vet.emis.ge)-ზე.

- რა პრინციპით შეირჩა პროგრამები და პროფესიები?

- კოლეჯში პროგრამების დამატება ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, კოლეჯის მისიიდან გამომდინარე. კოლეჯის მისიაა, იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე, სადაც უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და მზარდი საწავლის მსურველთა და სოციალურ პარტნიორთა რაოდენობა.

- რამდენად დიდა მსურველთა რაოდენობა?

- კოლეჯში ყოველწლიურად იზრდება სწავლის მსურველთა რაოდენობა, რაც განპირობებულია კურსდამთავრებულთა მაღალანაზღაურებლად პოზიციებზე დასაქმების მაჩვენებლით.

- მეტად მოთხოვნილი პროფესიები რომელია?

- გასული წლის მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ მეტად მოთხოვნილია კულინარია, კონდიტერია, ელექტრობა, სა-

მკერვალო წარმოება, IT მიმართულებები.

- სად საქმედება, ძირითადად, კოლეჯის კურსდამთავრებულები?

- დუალური მიდგომით სწავლების განხორციელების, სტუდენტთა/ მსწენელთა/ კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს რეგიონში არსებულ დიდ, საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციებთან (სასტუმროები, რესტორნები, სამშენებლო კომპანიები, სამკერვალო ფაბრიკები, სამკერვალო ატელიეები, საჯარო დაწესებულებები და ა.შ.). ასევე, კოლეჯი თანამშრომლობს დონორ ორგანიზაციებთან: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია (GIZ) და სხვები.

- ვის აქვს პროფესიული განათლების მიღების უფლება და როგორია ძირითადი გარანტიები?







# «მარტოვა» იზაიას

**16 წლის წინ სახალხო დღესასწაულ «მარტოვას» ჩაეყარა საფუძველი. თავდაპირველად ზეიმი გამონათლევების ტაძრის შემოგარენში იმართებოდა, მაგრამ შემდგომ წლებში ადგილი შეიცვალა. წელს დღესასწაული ოლადაურის ცენტრში აღნიშნეს**

მარტოვები და მათი სტუმრები თავდაპირველად გამონათლევების ტაძრში მივიდნენ მოსალოცად, სადაც სახალხო ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა წმინდა გიორგის ხსენების დღისადმი მიძღვნილი წირვა-ლოცვა აღავლინა.

წმინდა გიორგი, ქრისტიანული ეკლესიის მთავარმწყემსი, ერთ-ერთი ყველაზე პატივდებული წმინდანია ქრისტიანულ სამყაროში. მის სახელზე აგებული ეკლესია-მონასტრებით მოფენილია მთელი საქართველო. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, განსხვავებული სახელით, წმინდა გიორგის 25-მდე სახალხო ქრისტიანული დღესასწაულია დაწესებული. გილოცავთ გიორგობის და «მარტოვების» დღესასწაულებს, - თქვა მეუფე სპირიდონმა და მრევლი სახალხო ზეიმზე მიიპატიჟა.

წამყვანებმა - პოეტმა ვახტანგ გოგრაჭაძემ და თამარ ხიმშიაშვილმა დამსწრე «მარტოვების» მოკლე ისტორია გააცნეს.

«მარტოვების» ყველა დღესასწაულის მონაწილე ვარ, - გვითხრა ოლადაურელმა პოეტმა მერაბ მაკარაძემ, - როცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სახელზე ეკლესიის მშენებლობის თხოვნა გაიგზავნა, ხელმძღვრთა შორის ყველაზე მეტნი ოლადაურელები ვიყავით. ისიც გვემაყებდა, რომ ახლანდელი შუახევის რაიონის ტერიტორიაზე პირველი ქართული სკოლა ჩვენს სო-

ფელში აღდგა, სადაც ახლა პედაგოგად ვმუშაობ.

მარტოვის ხეობას ღირსეული, წარმატებული ადამიანები არასდროს აკლდა. ლომანაურელი შოთა ფუტყარაძე პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც საკანდიდატო დისერტაცია დაცვა, სამოღებელმა ოთარ ფუტყარაძემ - სადოქტორო. მახალაქიძეებელი ვლადიმერ მახარაძე პირველი პროფიზორია, რომელმაც უმაღლესი სასწავლებელი წითელ დიბლომზე დაამთავრა. ალიომზა ბაკურიძე წლების განმავლობაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო შუახევიდან. ხეობის მკვიდრთაგან პირველი იურისტი სოლომონ მაკარაძე, ადგილობრივებს შორის პირველი იყო, ვინც შუახევის რაიონს, ასევე აჭარის ოლქის სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

აჭარის მთიანეთში ლომანაურელი შუშანა ფუტყარაძე პირველი ქალია, რომელმაც სრული პროფესორის წოდება მოიპოვა. იგი ახლაც სამეცნიერო მუშაობას აგრძელებს. საზოგადოების პატივისცემა, მაღალი ავტორიტეტი მოიპოვეს გოგაძეებელმა აიშე შავაძემ, ოლადაურელებმა ზულეიხა ფუტყარაძემ, ნათელა ქარცივაძემ, ნადია მაკარაძემ, ლაკლაკეთელმა სულთან აბუსელოძემ, ცინარეთელმა ნუნუ ცინარიძემ.

ხეობის უმოურესი სოფელია დარჩიძეები. აქაურ მკვიდრთაგან ორმოცამდე ექიმი წარმატებით მუშაობს ქვეყნისა და უცხოეთის კლინიკებში. ახლანდელი საქმიანობით გამოირჩევიან პოლიტოლოგი ედიშერ ჯაფარიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ზაურ ფუტყარაძე. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობს მისი

შვილი ჯაბა ფუტყარაძე.

მოზეიმეებს «მარტოვა» მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, რეგისტრირებული კავშირ «მარტოვის» თავმჯდომარე აკაკი მახარაძემ, პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტყარაძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ჯემალ სურმანიძემ და სხვებმა.

20-ზე მეტი ადამიანი ატარებს «საპატიო მარტოვების» წოდებას. მათ რიგებს კიდევ ხუთი ამ ხეობის მკვიდრი შეემატა. 9 მაისი ცნობილი ქართველოლოგის, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის დაბადების დღეა, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ხეობის წარსულის გაცოცხლებაში. მისი ამავსი



ლონ ქარცივაძემ. მის ოჯახსაც სახეიმი ვითარებაში გადაეცა «საპატიო მარტოვების» დიპლომი. დღესასწაულზე გაიმართა ფრიდონ ქარცივაძის

შეტანილი წვლილისთვის - როინ ებრალიძეს. საპატიო სიგელით დაჯილდოვდა შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე.

5 მაისი ცნობილი პოეტს, ქართული ლექსის მებრძოლს ზურაბ გორგილაძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა. მისი სახელობის პრემია, რომელიც საზოგადოება «მარტოვის» გამგეობამ დააწესა, 4 წარმატებულ მოსწავლეს გადაეცა. ესენია უჩამბის, დღვანის, ოლადაურისა და შუბნის საჯარო სკოლების მოსწავლეები ანრი მუთიძე, მელანო ფუტყარაძე, თამუნა მაკარაძე და მიშა შინიძე.

ქართული ჭიდაობა ხეობის სოფლებში პოპულარული ხდება. ამის დასტურია დარჩიძეებსა და შუბანში სპორტის ამ სახეობის სექციების გახსნა. ამ სექციების აღზრდილი რიჩარდ ფუტყარაძე 73 წონით კატეგორიაში წელს აჭარის ჩემპიონი გახდა. 30-მდე მოჭიდავე ასპარეზობდა «ხეობის ფალავანის» 2022 წლის ტიტულის მოსაპოვებლად. ყველას გოგიტა ზოიძემ აჯობა.

ხელისუფლებაში ჩვენი არჩევის შემდეგ, პირველი სახალხო დღესასწაული გაემართა. დამსწრეთა რაოდენობამ მარტოვების სტუმართმოყვარეობამ მოლოდინს გადააჭარბა. წინ ღონისძიებებით დახმძლული შემოდგომა გველის. უფლის ნებით, შუახევის დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად დაარსების და «შუახევიანობის» დღესასწაულსაც ერთად ვიზენებთ, - გვითხრა ომარ ტაკიძემ, - მშობლიურ შუახევიში ყველაფერი მიმზიდველია. ვუღს უხარია, ხარაჩოებში ჩასმულ შენობებს, გზებზე მომუშავე მექანიზატორებს, მინდორში ვავლებულ ხნულს რომ ხედავ. ამ დიდ საქმეებში პირადი წვლილის შეტანა და მისი დაფასება სასიხარულოა. არ ველოდი, თუ «საპატიო მარტოვების» დიპლომით ხელდამშვენებული წავიდოდი შუახევიდან.

დღესასწაული გააღამაზეს შუახევის კულტურის ცენტრთან და ხელოვნების სკოლასთან არსებულმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა.



დაფასება იყო ოჯახისთვის «საპატიო მარტოვების» დიპლომის გადაცემა. ბატონი ტარიელ ფუტყარაძე. მისი ბედი გაიზიარა ცნობილმა იურისტმა, დასავლეთ საქართველოს პროკურატურის პროკურორმა ფრი-

საქმიანობისადმი მიძღვნილი წიგნის «სხივანთელი სიციცხლე - უკვდავებასა და მესხიერებაში» წარდგენა. წიგნის ავტორია ჟურნალისტი და პუბლიცისტი ოთარ ცინარიძე.

ოლადაურელმა ოთარ ფუტყარაძემ მისი მონაგარი ახალი წიგნით გაამდიდრა. დღია მისი დამსახურება თანახმობელთა წინაშე. ამისთვის «საპატიო მარტოვების» წოდება დაიმსახურა.

თანასოფლელებს, აჭარის მთიანეთის მკვიდრთ თანადგომას არ აკლებენ ბიზნესმენები - ლომანაურელი შოთა მიქელაძე და მოფრინეთელი ომარ ბერიძე. შოთა «საპატიო შუახევიანობის» წოდების მფლობელია, ომარ ბერიძეს კი «საპატიო მარტოვების» წოდება მიანიჭეს.

საპატიო სიგელებით დაუფასეს ამაგი პაპოშვილელი (გორის უბანი) ბიზნესმენ ზურაბ დავითის ძე ფუტყარაძეს, პედაგოგებს ნუნუ ცინარიძეს, ციური აბაშიძეს, ქართული ფოლკლორისა და ქორეოგრაფიის განვითარებაში შეტანილი საპატიო წვლილისთვის «საპატიო ხულოელის» წოდების მფლობელ გურამ ბოლქვაძეს, ქართული სპორტის განვითარებაში



# «მამის საბრძოლო ცხოვრებას უთამოვავლავს ვახსნობ»

**80 წელზე მეტი გვაშორებს იმ დღეებს, როცა მაშინდელი ხულოს რაიონის სოფელ ნენის მკვიდრი ახმედ მიქელაძე უკრაინის რესპუბლიკის დედაქალაქ კიევის თავდაცვით ბრძოლებში მონაწილეობდა. მის განვლილ გზაზე ვაჟი შვილი, 67 წლის რიონ მიქელაძე გვესაუბრება**



ვიდა, მიხმო, ხელში გასაღები მომცა და მითხრა: პირველ სიხარულს პირველად შეძენილ ძვირადღირებულ ნივთს გჩუქნი. სოფელში ძმებს სახლები აგვიშენა. მე და ჩემი მეუღლე გულიყო ანთაძე დაბაში ვმუშაობდით. მამის რჩევით აქ ბინა შევიძინეთ. სოფლიდან ხშირად გვაკითხავდა.

ფრონტზე მიღებულმა ჭრილობებმა თავი რომ შეახსენა და ჯანმრთელობა შეერყა, ჩვენთან კვირაობით რჩებოდა. ყველა ეფერებოდა, პატებს სცემდა.

9 მაისს, მის დაბადების დღეს, ოჯახში დიდი სუფრა იმდებოდა. სუფრასთან საბრძოლო ეპიზოდების გახსენება უყვარდა... 1941 წლის აპრილში, ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე, 20 წლის ჯაბუკი ხულოს სამხედრო კომისარიატიდან სამხედრო საფლავებზე სამსახურში გაიწვიეს. ომის დაწყებას უკრაინის ტერიტორიაზე შეხვდა. სამხედრო ნაწილი, სადაც მსახურობდა, 1941 წლის დეკემბერში სმოლენსკის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში ჩაერთო. აქ მძიმედ დაიჭრა. ყუმბარის ნამსხვრევი ზურგის არეში მოხვდა. რამდენიმე თვე დაჰყო ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელდა თუ არა, ისევ ბრძოლებში ჩაერთო. განსაკუთრებულ მნიშვნელობას კიევიდან ბრძოლებს ანიჭებდა. გულისტკივილით იტყუდა: კიევის დატოვება დიდი ზარალი იყო საბჭოთა არმიისთვის, კიევი არ უნდა დაგვე-

თმოო. სიამაყით იხსენებდა მხედართმთავარ გიორგი ჟუკოვთან შეხვედრას, მის მიერ გადმოცემულ საბრძოლო მედალს სათუთად ინახავდა. ოჯახში ახლაც ვინახავთ უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ სტალინის პირად მადლობებს, დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენს, მედალს საბრძოლო დამსახურებისთვის, ასევე კიევის, სტალინგრადის დაცვისთვის. დიდი სიამაყით იხსენებდა სტალინგრადის ბრძოლებს, პაულოუსის ტყვედ აყვანას.

ოჯახში 4 ძმა და ერთი და გავიზარდეთ. ყველას დასახლარებას მოეწყო. ძმებიდან წუთისოფელს მართო შემოგრი. დედამაშვილებს ერთმანეთისადმი არაჩვეულებრივი დამოკიდებულება გვქონდა, რაც მშობლების დამსახურება იყო. ისინი თანაბრად გვინაწილებდნენ სითბოს, სიყვარულს, ძმების ნაადრევად გარდაცვალებამ ძალიან დაგვაძლწუხრა. ახლა ჩვენი უთამოვავლეები ეფერებიან ერთმანეთს და მამისეულ კერასაც. მათ ვაცნობ მამის საბრძოლო ცხოვრებას, გმირულ თავდადებას. ძალიან გუ-

ლდაწყვეტილი იყო, როცა გამარჯვების დღესასწაულს - 9 მაისს, ტაბუ დაადეს. კიდევ კარგი, რომ აღდგენილ სანუკვარ ზეიმს მოესწრო. ვემაღლიერებით თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებიც გამარჯვების დღეს მამის საფლავთან მიდიან და მის ხსენას პატებს მიაგებენ.

მამას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებში თანამებრძოლები ჰყავდა, რომლებთანაც ურთიერთობა სიკვდილამდე არ გაუწყვეტია. მისი ფრონტული მეგობრები ნენისაშიც გვეტუმრობდნენ, ქართული სტუმართმოყვარეობით, აქაური ბუნებით იხილებოდნენ. ახლა ეს ურთიერთობები დაიკარგა. კიევში მცხოვრები ომის ორი ვეტერანი 1998 წლამდე გვეხმარებოდა. წერილები ახლაც შენახული გვაქვს. მსურდა უკრაინაში ის ადგილები მომენახლებინა, სადაც მამა იბრძოდა... დღეს უკრაინაში ისევ ომია.


გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ



შოთა მამულაძე - 70

კასი, ვინც შვინის კასთა კასოგას

ქართული არქეოლოგიური სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი, უღალატო მეგობარი, გაჭირვებულთა ქომაგი და ტყვეობისთვის არე შოთა მამულაძე იუბილარია - მას დაბადებიდან 70 წელი უსრულდება



ინტელექტუალურ წრეებში კარგადაა ცნობილი შოთა მამულაძის სახელი. მას არანაკლებ იცნობენ უცხოეთშიც. მისი ნაშრომები ქვეყნდება გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში. იგი არის 170-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და 15-მდე მონოგრაფიის ავტორი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ ამირან კახიძესთან ერთად იგი არის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ინტელექტუალურ წრეებში კარგადაა ცნობილი შოთა მამულაძის სახელი. მას არანაკლებ იცნობენ უცხოეთშიც. მისი ნაშრომები ქვეყნდება გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში. იგი არის 170-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და 15-მდე მონოგრაფიის ავტორი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ ამირან კახიძესთან ერთად იგი არის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ნებული ცხოვრება სასიკეთო საქმეებს შეაღია. განუზომელია მისი წვლილი ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლებასა და გზის გაკვლავში. ალღოანი და ნიჭიერი სტუდენტი პირველი კურსიდანვე ექვეოდა შოთა მამულაძის ყურადღების ცენტრში, მისი ხელმძღვანელობით ასრულებდა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს. თემებსაც თავად სთავაზობდა შემდგომი პერსპექტივით ისე, რომ სწავლების სამივე საფეხურზე ერთი პერსპექტიული თემის გარშემო უწყვეტად სტუდენტს მუშაობა. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 15 სამაგისტრო და 8 სადოქტორო დისერტაცია.

სტუდენტებისადმი გულისხმიერი და მზრუნველი დამოკიდებულების ნათელი მაგალითია შოთა მამულაძის მიერ ნიჭიერი ახალგაზრდების დაფინანსება უცხო ენის შესასწავლად და უზინაო სტუდენტებისათვის საკუთარი საცხოვრებელი ბინის შეთავაზება.

ბატონო შოთა, ჩვენთვის თქვენ მეგობრობის ჭეშმარიტი განსახიერება ხართ! ჩვენი სამომავლო უწყვეტი წევრი ყოველთვის ჩვენ გვერდით იყავით და გვეჩხრა, რომ ეს

ურთიერთობა არასოდეს დასრულდება.

ჩვენ ყველაზე იღბლიანი ადამიანები ვართ ამქვეყნად, რადგან გვყავხარ „კაცი, ვინც შევინის კაცთა კაცობას“. შენ იმაზე უკეთესად გვიცნობ, ვიდრე ჩვენ - საკუთარ თავს. ვერასოდეს შეგძლებოდა, საკმარისი მაღლობა გადაგინადოთ ყველაფრისთვის, რაც ჩვენთვის გაგიკეთებია. ყველას არ გაუმართლა, ჰყავდეს ისეთი გამგები, სანდო, ყურადღებიანი და მოსიყვარულე მეგობარი, როგორც შენ ხარ. სწორედ ამიტომ მივიჩნევთ ჩვენს თავს იღბლიანად!

დიდი მაღლობა იმ გაგებისა და ნდობისთვის, რომელსაც ყოველდღიურად გვრძნობთ შენგან, მაღლობა, რომ ჩვენს გვერდით ხარ! მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში სევდა ყოველთვის იცვლებოდა ბედნიერებით, სისუსტე სიძლიერით, სიძულვილი სიყვარულით, ეჭვები კი თავდაჭერებულიობად იქცეოდა. ეს ყველაფერი იყო თქვენი წყალობით. თქვენი გაცნობაც საკმარისია იმისათვის, რომ უკეთესი ადამიანი ვახდეთ. ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანი ხარ მათ შორის, ვინც კი ოდესმე შეგახვედრია. სასწაულებს ახდენ სამეგობროში, გა-

წუხებს უერთმანეთობა, გვიზიდავ მაგნიტივით, გვეერთიანებ, მუდმივად გვექაჩები „ტვიზის გასანიაგებლად“ კაფე-ბარებში. ადამიანებისადმი შენი ასეთი დამოკიდებულებით სამყარო უკეთესი ხდება.

ჩვენთვის შენ მეგობრობის ჭეშმარიტი განსახიერება ხარ! დაე, ყოველ დაბადების დღეზე გახსოვდეს, რომ ძალიან ბევრ ადამიანს უყვარხარ. შენ გარეშე ცხოვრება უხალისო იქნებოდა.

იმედი გვაქვს, რომ ამ დაბადების დღის შემდეგ ლექსიკონიდან ამოშლი ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: ავადმყოფობა, სიბერე, დამარცხება, უარყოფა, დარდი, დეპრესია და სირთულეები. წინ მხოლოდ სიმაღლეების დაპყრობა და გამარჯვებები გვლის. გისურვებთ ყველაზე განსაკუთრებულ დაბადების დღეს, ჩვენო ძვირფასო ადამიანო!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

კუზანიტარულ მენეჯერბათა ფაკულტეტი,

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

„ბამანაღბურბელბია, კიეზას ჰბავს“

ხვიჩა კვარაცხელიას მიმართ იტალიელების მხრიდან ინტერესი ძალიან დიდია. აქედან გამომდინარე, ყოველდღიურად სოციალურ ქსელში სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება. ამჯერად BoboTV-სთან იტა-



ლიის ნაკრებს ექსფეზბურბელბა დანიელე ადანიმ (დღეს ჟურნალისტად მუშაობს) ისაუბრა: „მის თამაშს კარგად ვიცნობ. გარკვეული ხნის წინ ვთქვი, რომ ხვიჩა „იუვენტუსის“ შემტვე ფედერიკო კიეზას ჰბავს. კვარაცხელია გამანაღბურბელი მოთამაშეა. უტევს მარჯვნიდან და მარცხნიდან, აქვს მშვენიერი ტექნიკა და, რაც მთავარია, ტალანტი“, - განაცხადა დანიელემ.

ამირან ბუჩიქიძე

ახალგაზრდები - ახალგაზრდებისთვის

მე-2 გვერდიდან

ვიცი, რომ კარიერულ წინსვლაში მათთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი სწავლის შემდეგ გამოცდილების არარსებობაა, სწორად ამიტომ, ცენტრმა, თავისი საქმიანობის ფარგლებში, დაწერა ახალგაზრდების კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა. გარდა იმისა, რომ ყველა პროექტი და ღონისძიება, საბოლოო ჯამში, სწორედ მათ ზრდასა და განვითარებას ემსახურება, ვდგამთ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს, მაგალითად, ბოლო ორი წლის განმავლობაში 50-მდე ახალგაზრდამ გაიარა ან გადის სტაჟირებას აჭარაში მოქმედ კომპანიაში, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ახალგაზრდები გადიან ანაზღაურებ-

ბად სტაჟირებას 6 თვემდე ვადით. ეს და კიდევ ძალიან ბევრი პროექტი მხოლოდ ერთი მიზნისთვის მუშაობს: შევუქმნათ უკეთესი პირობები და გავხადოთ თითოეული მათგანის ცხოვრება საინტერესო და თავგადასავლებით სავსე. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩვენი მიზანია ახალგაზრდული სფეროს განვითარება აჭარის ექსპივე მუნიციპალიტეტში, მხარი დავუჭიროთ საერთაშორისო გამოცდილების მიღებას, მათი ცნობიერების ამაღლებას, გაიზარდოს მათი ჩართულობა საზოგადოებრივ და სოციალურ-კულტურულ საქმიანობაში. მჯერა, ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი თავის ღირსეულ სიტყვას ყოველთვის იტყვის რეგიონში, - გვითხრა თენგიზ დოლიძემ.

დნესტრისპირეთში მყოფი 1400-მდე რუსი სამხედრო მოსკოვამ შესაძლოა, უკრაინის წინააღმდეგ კიდევ ერთ პლაცდარმად გამოიყენოს

მოლდოვას უკრაინაში რუსეთის შეჭრის გამო გარკვეული საფრთხე შეექმნა, ამიტომ ევროკავშირმა გადაწყვიტა მისთვის დამატებითი სამხედრო აღჭურვილობის გადაცემა.

„ჩვენ შევძლებთ, გავაძლიეროთ მოლდოვის თავდაცვისუნარიანობა, რათა მან შეძლოს, გაუმკლავდეს უკრაინაში რუსეთის აგრესიის შედეგებს. მშვიდობის შენარჩუნების ევროკავშირის მექანიზმის ფარგლებში, შარშან ჩვენ გამოვაცხადეთ 7 მილიონი ევროს ღირებულების დახმარება მოლდოვის არმიის სამედიცინო და სხვა შიდა საჭიროების უზრუნველყოფისთვის, წელს კი გვეგმავთ არსებითად გავზარდოთ მოლდოვისთვის ჩვენი დახმარება, მისი შეიარაღებული ძალებისთვის დამატებითი სამხედრო აღჭურვილობის დახმარების ჩათვლით“, - ეს განცხადება ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა 4 მისის მოლდოვაში ვიზიტის დროს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ევროკავშირის მაღალჩინოსანს არ დაუკონკრეტებია, რა ღირებულების დახმარებაზე საუბარი და რა სახის აღჭურვილობას მიიღებს მოლდოვა.

სათქმელია, რომ აპრილის დასასრულისკენ მოლდოვის სეპარატისტულ რეგიონ დნესტრისპირეთში რამდენიმე ტერაქტი მოჰყვა ერთმანეთს. როგორც კი მინიოვში აცხადებენ, ისინი, შესაძლოა, იმ გარე ძალებმა მოაწვეეს, რომლებსაც ომში მოლდოვის ჩართვაც სურთ.

საინტერესოა, რომ ცოტათი ადრე, 22 აპრილს, რუსეთის არმიის სარდლობის წარმომადგენელმა გა-



ნაცხადა, რომ უკრაინაში მიმდინარე რუსეთის „სპეცოპერაციის მეორე ფაზის“ ამოცანაა დონბასსა და სამხრეთ უკრაინაზე სრული კონტროლის დაწესება და დნესტრისპირეთთან პირდაპირი გზით დაკავშირება.

შეგახსენებთ, რომ მოლდოვის დნესტრისპირეთის რეგიონი ადგილობრივმა სეპარატისტებმა „დამოუკიდებელ რესპუბლიკად“ 1990 წელს გამოაცხადეს, რასაც შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა მოლდოვის არმიასა და რუსეთის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტებს შორის. ამჟამად დნესტრისპირეთში იმყოფება 1400-მდე რუსი სამხედრო, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, იქნენ მოსკოვის კიდევ ერთ პლაცდარმად უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ომში.

მარი მიფსაძე

კოლექტი „ბლეისი“ - მრავალპროფილური დანესაბულება

მე-5 გვერდიდან

პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს ყველა პირს, ზოგადი განათლების საბაზო (9 კლასი) საფეხურის დაძლევისა და კონკრეტული პროგრამისთვის დაწესებული მიღების წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე. კოლექტი 2022 წლის დასაწყისში მოიბოვა არაფორმალური განათლების აღიარების უფლება. არაფორმალური განათლება არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და ცანცობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“

შემქნას. არაფორმალური განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება, რომლის დროსაც პიროვნებას არსებული რესურსებისა და ყოველდღიური გამოცდილების შედეგად (ტრენინგები, სემინარები, ოჯახი, მეზობლები, სამსახური და ასე შემდეგ) უწყობილებდა უნარ-ჩვევები და ცოდნა. არაფორმალური განათლების აღიარება პირს აძლევს შესაძლებლობას, მოახდინოს არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის აღიარება, მიიღოს სრული კვალიფიკაცია (შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი) ან დაააროვოს კრედიტები კვალიფიკაციის სამომავლოდ მისაღებად.

Table with 4 columns: მთავარი რედაქტორი (მარინა მითაიშვილი), გამომცემი რედაქტორი (ირმა შერვაშიძე), მისამართი (ბათუმი, გრიგოლენკის ქ. №2), ღირებულება (6000 ლარი).





# ზურაბ გორგილაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი ასეთი კონკურსი პირველად ჩატარდა

5 მაისს ცნობილ პოეტ ზურაბ გორგილაძის 85 წელი შეუსრულდა. სწორედ ამ დღეს გაიმართა პოეტის სახელობის ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება ქობულეთში.

კონკურსში მონაწილეობდნენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები. სულ წარმოდგენილი იყო 32 ნამუშევარი პოეზიასა და პროზაში. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ პოეტი ბელა ქებურია, ქობულეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი, ფილოლოგი ნარგიზ რომანაძე და ქობულეთის №2 საჯარო სკოლის დირექტორი, ფილოლოგი ნანი ცივაძე.

გამარჯვებულთა დაჯილდოებას, რომელსაც ქობულეთის მუზეუმმა უმასპინძლა, ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი, მოწვეული სტუმრები, პედაგოგები, მოსწავლეები, ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები.

ამგვარი კონკურსი პირველად ჩატარდა, თუმცა, როგორც ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის უფროსმა ნათია ნიჟარაძემ აღნიშნა (სწორედ ეს სამსახური

ყოფს კონკურსის ორგანიზატორი), ის ტრადიციული გახდება და კიდევ უფრო გაფართოვდება.

- ზურაბ გორგილაძის ყოველ სიტყვას უფრო ღრმად და შინაგანად უნდა ჩავწვდეთ, რადგან მისი თითოეული სტროფი არის ჩვენი ცხოვრება, ისტორია, აწმყო და მომავალი. ამას ვარ იმითაც, რომ სადაც დაიბადა და იღვანა პოეტმა - ჩვენს მუნიციპალიტეტში, გვაქვს ასეთი თბილი, კულტურული სივრცე, რომელსაც ზურაბ გორგილაძის სახელ-მუხეუმი ჰქვია. მადლობა ორგანიზატორებს, ამ შენაშნავი კონკურსისთვის, - აღნიშნა დავით მჭედლიშვილმა.

- ზურაბ გორგილაძის შესახებ აქაურებს ჩემგან არაფერი ესწავლება. მთავარი კი ისაა, რომ დღეს ყველამ ვიცით - ის გენიალური ადამიანი იყო. ვიცით ახლა, მაგრამ როცა მის გვერდით დავდიოდით, ამას ვერ ვგრძობდით, თუმცა, ჩემს არქივს რომ გადავხედე, 30-ზე მეტი დიდი და პატარა ღონისძიება მიმიძღვნია პოეტისთვის. ობოლად გაზრდილმა ბიჭმა შეუძლებელი შეძლო - მიიღო ბრწყინვალე განათლება. გარე თავისთვის ის ბოჰემურად ცხოვრობდა, უდარდელი ჩანდა, მაგრამ ასე არ იყო. ზურაბი ბუმბერაზი პოეტი გახლდათ. კონკურსში მონაწილეობა საამაყო უნდა იყოს ბავშვებისთვის. მათ არაჩვე-



ულბრივი ნამუშევრები წარმოადგინეს. მიხარია, რომ 12-15 ისეთი იყო, რომ შემოქმედებით გზას ახლავდნენ დაფუძნებულ ბელა ქებურიაზე.

- ბედნიერებაა, რომ გვყავს ზურაბ გორგილაძე. გარდა იმისა, რომ დიდი პოეტი იყო, საოცრად თავმდაბალი ადამიანი გახლდათ, გულში არავის წყენას ჩადებდა. სირცხვილია, აჭარაში ბავშვს არ ჰქონდეს გავონილი ზურაბ გორგილაძის სახელი. ეს ყველაფერი - სკოლის, ოჯახის დანაშაულია. 1980 წელს ერთ-ერთ ღონისძიებაზე მსახიობ ზურაბ ქაფინაძის მოწვევა გადავწყვიტე, რადგან ის ეროვნული სულის პიროვნება იყო. ჩავედი თბილისში, შევხვედი, ავუსხენი, რომ ქობულეთში, საღამოზე მსურდა, ზურაბის ლექსი მას წაეკითხა. ამ პოეტს არ ვიცნობო. ვუთხარი, მინდა, თქვენ ვააცნოთ საქართველოს ბატონი ზურაბი-მეთქი. მისი ერთი ლექსი წამიკითხეთო. წავუკითხე „ალიფაშა“. გაკვირვებით მიყურებს. მეორის წაკითხვა მთხოვა, დავიწყე: „მინაწერი ფილმზე ტაო-კლარჯეთი“ რომ დაგამთავრო. წამოდგა და მითხრა: აუცილებლად ჩამოვალ ქობულეთში ზურაბ გორგილაძისთვის, თქვენი მოსწავლეებისთვის. ჩამოვიდა. გავსტუმრე დაარბაზი. როგორ მოეფერა და დაურთქა ქობულეთს ზურაბ ქაფინაძემ, უნდა გენახათ. ეს იყო დაუ-



ვიწყარი საღამო არა მხოლოდ მსახიობისთვის, არამედ ზურაბ გორგილაძისთვის. სუფრასთან რომ ვისხედით, იქ მთხოვა „სულხან-საბა“ თქვენ წაიკითხეთ, ოღონდ მინაწერს მე წავიკითხავო... შემდეგ უთამადა კიდევ სუფრას. დაუვიწყარი დღე იყო. რაც შეეხება მოსწავლეთა ნაშრომებს, იმედისმომცემია და მსურს, რომ მათ აუცილებლად გააგრძელონ წერა, - აღნიშნა ნარგიზ რომანაძემ.

კონკურსში გამარჯვებულები რვა ნომინაციაში დასახელდნენ. პოეზიაში პირველ ადგილზე გავიდა თამარ ყურაშუბაძე (უსათაურო - „ღმერთო, შემინდე, სამშობლოზე რომ ვერ ვწერ ლექსებს“), მეორეზე - ანა გოგიტიძე („ქართველი რომ ვარ“), მესამეზე - ზურაბ ბათინიძე („ბატონ ზურაბ გორგილაძეს“).

პროზაში გრანპრი მიიღო თეა ზოიძემ („სოფლის ნენე“).

პირველი ადგილი დაისაკუთრა ნინო ბერიძემ („უდაბნოში შემორჩენილი“), მეორე - ლაურა ქარცივაძემ („მეტროში დაკარგულები“), მესამე - სალომე ბოლქვაძემ („მდინარის განაპირად“).

ნომინაციაში „ჟიურის რჩეული“ მარიამ ჭყონიამ („მოგზაურობა ჯდოსნურ ქალაქში“) გაიმარჯვა.



## სპორტი

# ბიორბი დიმიტრაძე - „KIT CLUB“-ის ტურნირის გამარჯვებული

თბილისში არსებულმა საბილიარდო კლუბმა „KIT CLUB“ ბილიარდის მოყვარულებს კიდევ ერთი ზეიმი მოუწყო - კლუბის პატრონაჟით საქართველო-ესტონეთის ნაკრებთა (ფორმატი 8X8) შეხვედრა ჩატარდა. კლუბის მესვეურებმა საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდი გამოყვეს - 10 000 ლარზე მეტი. შექმნეს საუკეთესო საშეიბრო გარემო. ტურნირი ქართველ მობილიარდეთა აშკარა უპირატესობით წარიმართა - რვა საუკეთესოში მხოლოდ ორი ესტონელი მობილიარდო მოხვდა. კიდევ ერთხელ გვახსენა აჭარის ნაკრების ლიდერმა, სპორტის ოსტატმა, საქართველოს 2021 წლის საუკეთესო მობილიარდო გიორგი დიმიტრაძემ, რომელიც ტურნირის გამარჯვებული გახდა. მან საკმაოდ სოლიდური თანხაც მიიღო.

კლუბზე უნდა ვთქვათ. როგორც აჭარის ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა თემურ კახიძემ გვითხრა, „KIT CLUB“ თბილისში ორი წელია რაც გაიხსნა. მისი მებატრონე გახლავთ ალინა ყოლბაია.

- საბილიარდო სამყაროს ნამდვილად გაუმართლა, რომ ასეთი კლუბი არსებობს. ქალბატონი ალინა მუდღე საშენებლო ბიზნესითა დაკავებული, თავად ალინა ჯერ კიდევ რუსეთში ცხოვრობისას თამაშობდა ბილიარდს. თბილისში გადმოსვლის შემდეგ, მუდღე სთხოვა, გაეხსნათ ისეთი დონის კლუბი, სადაც უცხოელი მობილიარდების მოწვევაც გახდებოდა შესაძლებელი. რაც ჩემთვისაც მთავარია, სერიოზულად ეკიდებიან მომავალი თაობის აღზრდას. იქ ახლა რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა ვარჯიშობს კლუბის ხარჯზე და ვფიქრობთ, მალე კარგი შედეგაც გვექნება. ქალბატონი ალინა ხელმძღვანელობს, რამდენიმე საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. საგულისხმოა, რომ კლუბი „KIT CLUB“ საქართველოს ფედერაციის მხარში უდგას - ვასულ წლებში ჩატარებინეს საქართველოს ჩემპიონატი, საქართველოს თასი, გამოყვეს საკმაოდ სოლიდური თანხები. ამასთან, საქართველოს ბილიარდის ისტორიაში პირველად ატარებენ ევრთ წოდებულ, ოხეტაბიან „KIT CLUB“-ის თასის გათამაშებას. პირველი ეტაპი უკვე შედგა. წლის ბოლოს, მეოთხე, დამავიგრძელებელ ეტაპზე, 16 საუკეთესო მობილიარდო საკმაოდ სოლიდურ საპრიზო ფონდს გაითამაშებს. სამი თვის წინ, ქალბატონმა ალინამ კიდევ ერთი კარგი სიახლე შემოგვთავაზა - სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო ნაკრებების საქართველოში ჩამოყვანა. პირველი არჩევანი ესტონეთის ნაკრებზე შეჩერდა. მათ 8 საუკეთესო მოთამაშეს დავახვედრეთ ამდენივე საუკეთესო ქართველი მობილიარდო. 8 საუკეთესოში მოხვდა 2 ესტონელი და 6 ქართველი. ამათგან ერთი ესტონელი მესამე ადგილზე გავიდა. ტურნირის გამარჯვებული კი ჩვენი გიორგი დიმიტრაძე გახდა. ამ წამოწყებაში ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეს არ იქნება ერთგვარადი აქტი. როცა მოლაპარაკება შედგა ესტონეთის მხარესთან, ითქვა ისიც, რომ ჩამოსულ სტუმრებს დავხვედებოდით, უზრუნველყოფდით სასტუმროთი (გარდა გზის ხარჯისა). ახლა ესტონე-

ლებმა უნდა მიიწვიონ საქართველოს ნაკრები, იგივე პირობებით. მალე ჩვენი ნაკრები გაემგზავრება ესტონეთში იმავე შემადგენლობით, როგორცა თბილისში ვითამაშეთ (მათ შორის, ორი ბათუმელიც იქნება). მომდევნო შეჯიბრებისთვის ლიტვის ნაკრები დავგეგ-

ვშირდა. მათი სურვილია, ბათუმში ჩავატაროთ ტურნირი ლიტვის ნაკრებთან. ალბათ, ეს ტურნირი იენისის პირველ ნახევარში გაიმართება. მადლობა მინდა გადაუხადო „KIT CLUB“-ის ხელმძღვანელობას, მობილიარდების თანადგომისთვის, - გვითხრა თემურ კახიძემ.

# ასპარეზობდნენ ვეტირანები

სსიპ „ბათუმის ბულვარის“ ადმინისტრაციის ხელშეწყობით, საჭადრაკო კლუბში „ნონა“ ვეტერანებს შორის შეჯიბრება გაიმართა

ეთერ ჩაველიშვილი. მამაკაცებში პირველობა არავის დაუთმო ჯუმბერ კოკობინაძემ, მეორე ადგილი დაისაკუთრა



შაშში, რომლის ორგანიზატორი აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაცია იყო (პრეზიდენტი - შალვა ტაბალაშვილი). ქალთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა მედეა ბიბილეიშვილმა, მეორე ადგილზე გავიდა ნინო აბაშიძე, მესამეზე -

ლეონიდ გაბაიმ, მესამე - 83 წლის დავით არქენაძემ. შეჯიბრებას უძღვებოდა ეროვნული კატეგორიის მსაჯი შალვა ტაბალაშვილი.

